The Population of the Frone Valley According to the 1715 Ruisi Flok Register (Khashuri Municipality)

ფრონის ხეობის მოსახლეობა 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

David Akhlouri
Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract

Based on the 1715 Ruisi Episcopal Register, this study examines the population of the following villages and settlements of the present-day Khashuri Municipality: Tkotsi, Dumatskho (modern Dumatskhovi), Flebi, Ali, Kindzati, Nabakhteti, Brili, Tsablua (Tsablovana), Kempferi, Tsedani, Odzisi, Urtkva (formerly Utkhva), Bijinisi, Chumatelleti, Zindisi, Itria, the town of Surami, Upper Surami, Bekami, Tezeri, Begliti, Monasteri, Tsikhisdziri, Sholispiri, Kvishkheti, Tashiskari, Savaniskhevi, Gorati, Shindara, Khashuri, Osiauri, Zemo Chala, Lubruma, Akhalsopeli, Sative, Dzvisa (Adzvisi), and Vaqi.

As the register indicates, the majority of the population in the villages of the Khashuri Municipality was Georgian. Alongside Georgians, Jewish and Armenian inhabitants are also recorded. The source frequently uses the term uriaqopili, which appears to indicate the process of Georgianization of the Jewish population. According to the 1715 data, only three Ossetian households lived in the entire Frone Valley: one family in Akhalsopeli and two households in the village of Tighva, which is currently under occupation.

The devastation caused by the incursions of Qizilbash and Ottoman forces, as well as by the phenomenon known as Lekianoba, had a severe impact on the villages of the Khashuri Municipality. Many settlements were abandoned and turned into deserted villages. From the nineteenth century onward, these areas were gradually resettled by families migrating from western Georgia, mainly from Imereti. Alongside the Georgian population, the number of Ossetian families migrating from the North Caucasus also increased over time.

Alongside the analysis of the Ruisi Episcopal Register, the study pays special attention to the localization of each village or now-abandoned settlement, their historical background, social relations, and the identity of their owners. Earlier and later demographic records of the Ruisi diocese are compared, demonstrating changes in population dynamics over several decades for each settlement and highlighting the current demographic situation.

Key words: Khashuri Municipality, Frone Valley, Ruisi Diocese, register, cameral surveys, estate, household, population.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი

ნაშრომში, 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, საუბარია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ტკოცის, დუმაცხოს (ახლანდელი დუმაცხოვის), ფლევის, ალის, ქინძათის, ნაბახტევის, ბრილის, წაბლუანას (წაბლოვანას), ქემფერის, ცედანის, ოძისის, უთხვას (ურთხვას), ბიჯნისის, ჩუმათელეთის, ზინდისის, იტრიას, დაბა სურამის, ზე სურამის, ბეკამის, ტეზერის, ბეღლითის, მონასტრის, ციხისძირის, შოლისპირის, ქვიშხეთის, ტაშისკარის, სავანისხევის, გორათის, შინდარას, ხაშურის, ოსიაურის, ზემო ჭალის, ლუბრუმას, ახალსოფლის, სატივეს, ძვისას (აძვისის) და ვაყის შესახებ.

როგორც აღწერიდან ჩანს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში უმრავლესობა ქართული მოსახლეობა იყო, ქართველთა გვერდით ცხოვრობდნენ ებრაელები და სომხები. წყაროში ხშირად ვხვდებით ტერმინს - ურიაყოფილი, რაც ებრაელთა გაქართველებაზე უნდა მიგვითითებდეს. 1715 წლის მონაცემებით, მთლიანად ფრონის ხეობაში სამი ოსის ოჯახი ცხოვრობდა, აქედან ერთი - ახალსოფელში, ორი კომლი კი - დღეს უკვე ოკუპირებულ სოფელ თიღვაში.

ცალკე ყიზილბაშებისა და ოსმალების მოძალებამ და ცალკე ლეკიანობამ მძიმე დაღი დაასვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებს, ბევრი მათგანი ნასოფლარად იქცა, სადაც XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან, ძირითადად, იმერეთიდან გადმოსახლებული კომლები მკვიდრდებიან. ქართველების გვერდით თანდათან იმატებს ჩრდილო კავკასიიდან მოსული ოსური ოჯახების რიცხვიც.

რუისის საეპისკოპოსო დავთრის ანალიზის პარალელურად ნაშრომში ყურადღება ეთმობა თითოეული სოფლისა თუ დღეს უკვე ნასოფლარის ლოკალიზებას, წარსულის მიმოხილვას, სოციალურ ურთიერთობებსა და სოფლების მფლობელთა ვინაობას.

ერთმანეთთანაა შედარებული როგორც რუისის სამწყსოზე უფრო ადრინდელი, ისე შემდგომი პერიოდის დემოგრაფიული ნუსხები, ნაჩვენებია თუ როგორ იცვლებოდა ათეული წლების მანძილზე თითოეული სოფლის მოსახლეობის დინამიკა და გამოკვეთილია დღეს არსებული დემოგრაფიული ვითარება.

საკვანძო სიტყვები: ხაშურის მუნიციპალიტეტი, ფრონის ხეობა, რუისის სამწყსო, დავთარი, კამერალური აღწერები, მამული, კომლი, მოსახლეობა.

შესავალი

ხაშურის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია შიდა ქართლის მხარეში, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და

დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

1930 წლიდან ხაშური დამოუკიდებელი რაიონი გახდა, მანამდე გორის მაზრას ექვემდებარებოდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი (ხაშური), 1 დაბა (სურამი) და 70 სოფელი შედის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 11 ადმინისტრაციული ერთეულია:

ალის, რომელშიც შედის სოფლები: ნაბახტევი, მცხეთისჯვარი, ბრილი, კლდისწყარო, დუმაცხოვი, ქინძათი, ზემო აძვისი, ახალუბანი, უწლევი;

გომის (ვაყა, აგარები, ქვემო აძვისი, დიდი სატივე, პატარა სატივე, ხიდისყური);

ოსიაურის (ზემო ოსიაური, ქვემო ოსიაური, ახალსოფელი);

ფლევის (ნაცარგორა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ტკოცა);

ქვიშხეთის (ტაშისკარი, ბეღლეთი, ყიფიანთუბანი, ბულბულისციხე, სათივე, რუსაანთუბანი, მონასტერი, სავანისუბანი, ტეზერი, სარმანიშვილისკარი);

ცოცხნარის (წაბლოვანა, ოძისი, ცედანი, ქემფერი, ცივწყარო);

ცხრამუხას (თაგვეთი, რბონა);

წაღვლის (ტიტვინისწყარო, ჩორჩანა, კლდისწყარო, ზემო ბროლოსანი, ქვემო ბროლოსანი, წეღვერი);

წრომის (ნადარბაზევი, ახალშენი, იმერლიანთკარი, დიდი ყელეთი, პატარა ყელეთი);

ხალების (სარტყელა, დიდი ხალები, პატარა ხალები, ღართა, ღვრიაწყალი);

ხცისის (მიწობი, კრისხევი).

ხაშურში მცხოვრები 52 200 სულიდან 98, 3% ქართველია, 0,6 %, - სომეხი, 0,5 % - ოსი და 0,3 % - რუსი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა უძველესი დროიდან მკვიდრობდა, რასაც აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს; სოფელ ტკოცის მახლობლად ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს ბალთა მხედრის ქანდაკებით, ბრინჯაოს ხანჯალი, სამწახნაგოვანი ბრინჯაოს ისრის წვერი, სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი **(მაკალათია, 1963: 4-5).** გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნივთები გვხვდება დაბა სურამისა და ალის ტერიტორიაზე. ანტიკური ხანით თარიღდება ქვიშხეთის, სურამის, ალის, ვაყის, ტკოცის სამაროვნებში მიკვლეული საგანძური, რომლიც დღეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული **(გვასალია, 1989: 8).**

არქეოლოგიური მასალის ზოგადი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს, წარმოდგენა ვიქონიოთ დასახლებულ პუნქტებსა და იქ არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაზე. ჩანს, უძველესი დროიდან, მოსახლეობის მიერ კარგად იყო ათვისებული მუნიციპალიტეტის ვრცელი ტერიტორია.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ფრონის ხეობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების შესახებ რუისის სამწყსოს დავთარში მოსახლეობის შესახებ არსებული ცნობების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას

გვაძლევს განვსაზღვროთ, XVIII საუკუნის დასაწყისში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ისტორიული ვითარება, დემოგრაფიული და სოციალური სურათი... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შიდა მიგრაციის რუკის განსაზღვრაში. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ფრონის ხეობის სოფლების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენამდე მოღწეული, მათ შორის საგულისხმოა არქეოლოგიური მასალა, რომელიც პალეოლითის ხანიდან მოყოლებული ხშირად გვხვდება ხეობის ისტორიულ სოფლებში.

დემოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა XVIII საუკუნის წყაროები, მათ შორის 1715 წლის რუისის საეპისკოპოსო დავთარი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის აღწერის დავთრები, ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების ცნობები, XIX საუკუნის კამერალური აღწერისა და XX საუკუნის საკავშირო აღწერების მონაცემები.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუისის საეპისკოპოსო დავთარს, რომელიც პირველ ვრცელ ცნობებს შეიცავს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის შესახებ, მისი შედარება მოსახლეობის სხვადასხვა დროის აღწერებთან საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ მუნიციპალიტეტის სოფლებში უძველესი დროიდან არსებული დემოგრაფიული ვითარება. ხაშურის სოფლების აბორიგენი მოსახლეობა ქართველები იყვნენ, დღესაც მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველები არიან.

მსჯელობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესახებ პირველ ვრცელ ცნობებს 1815 წლის რუისის სამწყსოს დავთარში ვხვდებით.

დავთარში ფრონის ხეობის 84 სოფლის მონაცემებია შეტანილი, სულ 1839 კომლის. დედანი ნაკლული ყოფილა. როგორც მისი გამომცემელი ე. თაყაიშვილი შენიშნავს: „აკლია ორი ფურცელი და ბოლოშიც რამდენიმე ფურცელი. ამიტომ ნამდვილი სია სოფელთა და კომლთა მეტი უნდა ყოფილიყო“ **(თაყაიშვილი, 1907: 207).**

აღწერის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის ფლევის თემის სოფელ ტკოცაში 33 საეკლესიო კომლი ცხოვრობდა: რიკაძე (6 კომლი), ვირშელაშვილი (6 კომლი), ნოზაძე (1 კომლი), კოკავიძე (5 კომლი), თავბერიძე (3 კომლი), ნიყვაძე (1 კომლი), ხორგოშვილი (3 კომლი), პენიაშვილი (2 კომლი), ოსაძე (3 კომლი), ლუქუნიძე (2 კომლი), ზეინკლიშვილი (1 კომლი).

შესამჩნევია, რომ სოფელი ტკოცა იმ დროის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, გვარების სიმრავლით არ გამოირჩევა. აქ რამდენიმე გვარის მკვეთრი დომინაციაა: რიკაძეები და ვირშელაშვილები 6-6 კომლი იყვნენ, კოკავიძეები - 5 კომლი.

როგორც აღწერის მინაწერიდან, ჩანს, სოფლიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადასახლებული ყოფილა, თუ დაბრუნდებოდნენ, გადასახდელი თანხა გაიზრდებოდა: „დრამა ამათ სძეს: ამათს ხუცეს მარჩილი სამი: აყრილი ბევრია: თუ მოვიდნენ ოთხი მარჩილი უნდა მოგვცენ:.“ **(თაყაიშვილი, 1907: 174).**

სოფელი დუმაცხოვი [1] მდებარეობს შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში, სურამულას მარცხენა შენაკადის ჭერათხევის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 780 მეტრის დაშორებით. სერგი მაკალათია მდინარე ჭერათხევს „ალის ფრონეს“ სახელით მოიხსენიებს და მიგვანიშნებს, რომ ეს სოფელი ალის ფრონის ხეობაში მაღლობზეა გაშენებული, უკავია მთის ზეგანი, „საიდანაც მოჩანს ალისა, ფცისა და დვანის ფრონის ხეობა დასახლებული სოფლებით“ **(მაკალათია, 1963: 78).** ამ მხრივ, საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც: „და ლიახვს მდინარეს აქათ ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-ხევნი აღვსწერენი, უწოდებენ, თვინიერ შოლისა, ფრონეთა.“ **(ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 378).** აღწერილ ხეობებში იგულისხმება დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი და სურამის წყალი. ხოლო „შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკუარს ჩდილოდამ... შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, შუენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო. ქვიშხეთს ზეით შოლაზედ არს ციხისძირს ციხე. ქვიშხეთის სამხრით არს, მთის ძირს, მტკურის ახლო, დაბა ტაშისკარი.“ **(ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 377-378).**

ალის, ფცის და დვანის ფრონეთა ხეობების ცენტრში, დაახლოებით 60 ჰექტრის ფართობზე ე.წ. „სამყვირალოს მამულია“, რომელიც დუმაცხოვიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. ადრე ეს ადგილი ტყით ყოფილა დაფარული. 1924 წელს ტყე გაუჩეხიათ და მინდვრად უქცევიათ. სამყვირალოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები. აღდგენილია ეკლესია, რომელიც დღეს სამყვირალოს წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. როდესაც საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნებოდა (მტრის შემოსევა, ლეკიანობა და სხვა), სამივე ხეობის ხალხი ამ ეკლესიასთან თავს იყრიდა. აქედან საყვირებით სამივე ხეობის ხალხს ეძახდნენ და ხეობის საქმესაც არჩევდნენ. ამის გამო ამ ადგილისთვის „სამყვირალო“ უწოდებიათ **(მაკალათია, 1963: 78).** ს. მაკალათია სოფლის მებატონეებად ხერხეულიძეებს ასახელებს. ამ გვარის მოსახლეობა დუმაცხოვოში დღემდე სახლობს. თუმცა ვიდრე იგი ხერხეულიძეების მფლობელობაში აღმოჩნდებოდა, ამირეჯიბების კუთვნილება იყო. XV საუკუნეში, ჭერათხევის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს ულუმბის განახლებული მონასტრისთვის რამდენიმე სოფლიდან ყმები შეუწირავს, მათ შორის ორი კომლი - დუმაცხოვოდანაც.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, დუმაცხოვის ადრინდელი სახელწოდება დუმაცხო იყო, ისტორიკოსი თამაზ ლაცაბიძე სოფლის სახელწოდებაში ოვ-სუფიქსის გაჩენას რუსულის გავლენით ხსნის და XIX საუკუნიდან მომდინარედ მიიჩნევს **(ლაცაბიძე, 2019 ა: 5).**

დღეს სოფელში, ტრადიციულად, ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ: ბერუაშვილები, დვალაშვილები, მაისურაძეები, პაპუაშვილები, ფატარიძეები, ხაჩიძეები, ხერხეულიძეები, ხიდაშელები, გოგალაძეები, მჭედლიძეები, შუბითიძეები.

1715 წლის რუისის საეპიკოპოსო დავთრის მონაცემებით კი დუმაცხოში[2] 26 კომლია: გონიერაშვილი (3 კომლი), პაპუაშვილი (1 კომლი), ჩირქინაშვილი (2 კომლი),

[1] დუმაცხო სოფელია დუშეთის მუნიციპალიტეტში, მთიულეთის ქედის აღმოსაცლეთ კალთაზე, სოფლების ბურსაჭირისა და ბოსლის ხევების შესაყართან.
[2] ასე მოიხსენიება სოფელი დავთარში.

ჩაგელიშვილი (1 კომლი), აღდგომლიშვილი (2 კომლი), მაზმნიშვილი (1 კომლი), გივიაშვილი (1 კომლი), გელაშვილი (1 კომლი), დემეტრაშვილი (1 კომლი), პაატაშვილი (2 კომლი), ნინიაშვილი (1 კომლი), იქაცაძე (1 კომლი), პაპიძე (1 კომლი), კოხოლაძე (1 კომლი), სამხარაძე (1 კომლი), ბასილიძე (2 კომლი), გორგომელიძე (2 კომლი), კოპაძე (2 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 175).**

ფლევი სოფლების დიდი და პატარა ფლევის საერთო სახელწოდება იყო. მდებარეობს მდინარე ჭერათხევის მარცხენა მხარეს. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება ახალი და ზემო ფლევის სახელწოდებებითაც. ფლევი ქუცნა ამირეჯიბის იმ მამულების ნუსხაში გვხვდები, რომელიც ულუმბის მონასტერს შესწირა: „აქაურის წისქვილისათვის ფლეველთ თითო კოდი პური, თითო კოკა ღვინო სააღაპოდ“. მოგვიანებით ბაგრატიონ-დავითაშვილებს ეკუთვნოდათ. მათ ფლევი 1527-1556 წლებში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ნებართვითა და ირანის შაჰის თამაზისაგან მიღებული ოქრო-ვერცხლით შეუძენიათ, სხვა სოფლებთან ერთად. ფლევში ბაგრატიონ-დავითაშვილები XX საუკუნემდე მკვიდრობდნენ.

დიდ ფლევში ცხოვრობენ: დეკანოიძეები, მთიულიშვილები, გელაშვილები, ლომიძეები, კაპანაძეები, კვესაძეები, ნოზაძეები, რაზმაძეები, საძაგლიშვილები, ტეფნაძეები, ხარაზიშვილი, პატარა ფლევში: თაბუაშვილები, ციცქიშვილები, ჩიქოვანები, თედიაშვილები, ივანიშვილები, არსენიძეები, ბუხრიკიძეები (ბუცხრიკიძეები), გაჩეჩილაძეები, გელაშვილები, კილასონიები, ლომიძეები, ტაბატაძეები, ტეფნაძეები, შუბითიძეები.

1715 წლის აღწერით ფლევში 13 კომლს უცხოვრია: რამაზიშვილებს (3 კომლი), პაპიაშვილებს (4 კომლი), ოთიაშვილებს (1 კომლი), ჭაუჭიძეებს (1 კომლი), ბინდიაშვილებს (1 კომლი), ბუზალაძეებს (1 კომლი), ბადიაშვილებს (1 კომლი), ლაშქარაშვილებს (1 კომლი). სოფლის ძირითადი მაცხოვრებლები პაპაშვილები (4 კომლი) და რამაზიშვილები (3 კომლი) ყოფილან. **(თაყაიშვილი, 1907: 176).**

სოფელი ალი მდებარეობს მდინარე ჭერათხევის მარჯვენა მხარეს, გომი-ჭიათურის საავტომობილო გზაზე.

ალი უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, რის დამადასტურებლადაც ალის ციხის სამხრეთით აღმოჩენილი ვრცელი დასახლებაც იკმარებდა, რომელიც გვიანი ბრინჯაოს ხანით თარიღდება. აქვე აღმოჩენილი იქნა ადრეანტიკური ხანის დასახლება და სამაროვანი **(ლაცაბიძე, 2019 ა: 5).**

1913 წელს ალის მიდამოებში აღმოჩნდა ე. წ. „აღმოსავლურ-ქართული“, ხოლო 1914 წ. გეომეტრიული ორნამენტით გრავირებული 2 კოლხური ცული, რომლებიც ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

მცხეთისჯვრის ციხის მიდამოებში „გასაყიდლიანთ ვენახში“ ნამოსახლარზე ჩინური მონეტა იქნა ნაპოვნი. ნამოსახლარზე სამი კულტურული ფენა იკვეთება: გვიანბრინჯაოს ხანის, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრისა და განვითარებული შუა საუკუნეების. ჩინური მონეტა განვითარებული ფეოდალური ხანის ფენიდანაა, ისევე როგორც გიორგი III-ის ერთი ქართული მონეტა. საქართველოში აღმოჩენილი ერთადერთი ჩინური მონეტა ბრინჯაოსგანაა დამზადებული, მასზე შესრულებულია წარწერა: „ცინ-იუან ტუნ ბაო“, რომელიც ასე ითარგმნება: „ბედნიერი წამოწყებების ეპოქის მოარული მონეტა.“

ნუმიზმატები მას სამხრეთ სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდს მიაკუთვნებენ და წარწერის მიხედვით 1200 წლით ათარიღებენ. **(ბრაგვაძე, დავითაშვილი: 1993: 46).**

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ისტორიულ გზასაყარზე მდებარე სოფელი, ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა, რამაც ხელი შეუწყო XII საუკუნეში მის ქალაქად გადაქცევას. სავაჭრო ურთიერთობებში ქართველებთან ერთად აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული ალში მცხოვრები ებრაელები და სომხები. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია სოფლის ტერიტორიაზე, ადგილ „ნაურიალებზე“ 1925 წელს მიკვლეული მონეტების საგანძური, რომელიც XIII ს-ის ბოლო პერიოდითა და XIV ს-ით თარიღდება. განძი სულ 471 ვერცხლის მონეტისგან შედგებოდა, მასში შედის: ოქროს ურდოს ჯუჩიდები (1310-1348 წლები) - 204 ცალი; ჯალიარიდი (1355-1389 წლები) - 7 ცალი; იოანე II ტრაპიზონელის (1280-1297 წლები) ასპერის ქართული მინაბაძი (კირმანეული) - 1 ცალი; აჰმად ჯალიარისა და საქართველოს მეფის, გიორგი VII-ის (1393-1407 წლები) სახელით მოჭრილი მონეტები - 249 ცალი; განძში ასევე წარმოდგენილია 10 ცალი გაურკვეველი ქართული მონეტა.

განძი XIII ს-ის ბოლო – XIV ს-ით თარიღდება (კაპანაძე, 1941: 133). ცნობილი ნუმიზმატის თამარ ლომოურის დაკვირვებით, ალის განძის ჯუჩიდური და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი მონეტები საქართველოში დარიალის გზიდან უნდა მოხვედრილიყო **(ლომოური, 2005: 15).** 1971 წელს ალში, გომი-საჩხერის გზატკეცილთან, მიწის სამუშაოების დროს მონეტების კიდევ ერთი საგანძური აღმოჩნდა, რომელიც XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. განძში 59 შირვანული მონეტაა, მათ შორის: ხილილულა I-ის (1417-1462) მიერ მოჭრილი 6 ანონიმური შირვანული მონეტა, ფარუხ იესარის (1462-1500) - 53 მონეტა. 1925 წელს აღმოჩენილი მონეტები ეროვნულ მუზეუმშია დაცული, 1971 წლის განძიდან კი 55 მონეტა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, 4 მონეტა - საჩხერის მუნიციპალიტეტის ქორეთის საჯარო სკოლაში **(„ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“, 2013: 27; ლაბაძე, 2021: 95-114).**

დაკარგულად ითვლება განძი, რომლის აღმოჩენის შესახებაც 1881 წლის „დროება“ გვატყობინებდა: „ბევრს ადგილას სახნავ მიწებში პოულობენ ხვნის დროს ქვევრებს და სხვა ძველ ნივთებს. ამას წინეთ ერთ მეწისქვილეს ეპოვნა ციხესთან ერთი ქოთანი თეთრი ფული, ნიაღვრით ჩამოეჭამა მიწა და გამოჩენილიყო. ამ ძველმა ფულებმა გაახარეს ურიები, რადგან ადგილობრივმა მამასახლისებმა ყურადღება არ მიაქციეს“ **(„დროება“, 1881: 2).**

ალი ისტორიულ წყაროებში პირველად გიორგი მესამის 1178 წლის გუჯარში იხსენიება, იგი იმ დროისთვის სამთავისის სამწყსოში შედიოდა და სამთავნელის სასარგებლოდ ვერცხლის დრამა ემართა **(ლაცაბიძე, 2019 ა: 5).** სოფელმა ჯერ მონღოლების ბატონობის, შემდეგ კი თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ დიდი ზიანი განიცადა. 1403 წელს სამარყანდელი დამპყრობელი დასავლეთ საქართველოში ალის გზით გადასულა და ხეობა მოუოხრებია. მოგვიანებით აღდგენილ სოფელს ქუცნა ამირეჯიბი ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას სწირავს. იმერეთის მეფეს ალექსანდრე პირველს (1387-1389 წწ.) ერთხანს ამირეჯიბებისთვის ეს სოფელი წაურთმევია, მაგრამ მალევე დაუბრუნებია **(ქრონიკები, 1897: 209).**

XVI საუკუნის 30-იან წლებში ლუარსაბ პირველმა ალი ბაგრატ იმერთა მეფეს გადასცა **(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 102).**

1554 წელს სურამის მხარე შაჰ-თამაზმა დაიპყრო.

XVI საუკუნის II ნახევარში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართლის მეფე სვიმონ I-ის (1556-1600 წწ.) რეზიდენცია იყო.

1723 წელს ალში რამდენიმე თვე დაჰყო რუსეთისაკენ მიმავალმა ვახტანგ მეექვსემ.

XVIII საუკუნიდან ალს მძიმე დაღი დაასვა ლეკთა განუწყვეტელმა ლაშქრობებმა: „ჟამსა ამას განავრცელს ლეკთა ხვდომაი და გამოხდა ჩონჩოლ-მუსა... მოვიდნენ ლეკნი ზღუდერს... მუნ იქმნა მცირედი კინკლაობა, გატრიალდნენ მუნით ლეკნი, მივიდნენ და აიღეს ალი და აღვიდნენ ახალციხეს“ - წერდა თეიმურაზ ბატონიშვილი 1758 წლის ლეკთა ერთ-ერთი თავდასხმის შესახებ, რომელსაც ჩონჩოლ-მუსა ხელმძღვანელობდა **(თეიმურაზ ბაგრატიონი, 1983: 50-51).**

ქართულ და უცხოურ წყაროებში ხშირად ვხვდებით ცნობებს შიდა ქართლის ძველი ნაქალაქარის შესახებ, რომელთა ნაწილზე უკვე ვისაუბრეთ. ვახუშტი ბატონიშვილი თავის აღწერაში ალს „მცირე ქალაქად“ მოიხსენიებს: „ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლით კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე... გაზაფხულ-შემოდგომას ჭყვაპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი, არამედ ჰავით კეთილი, მხიარული“ **(ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 377).**

ალს მცირე ქალაქის სტატუსით გვაცნობს 1768 წელს საქართველოში მყოფი აბატი დელაპორტი: „მე აღარაფერი-ღა მაქვს სათქმელი ალზე, მცირე ქალაქზე, რომელიც გორიდან ორმოც ვერსზე მდებარეობს, ერთი ვიწრო გასასვლელის მქონე მთის წინ, რომელიც ხის კარით იკეტება“ **(ქიტიაშვილი, 2007: 43-44).**

ფრონისპირა სოფელს ქართლის ქალაქებს შორის ახსენებს კიდევ ერთი მოგზაური ჟან შარდენი, იგი 1672-1673 წლებში, საქართველოში ყოფნისას, უშუალოდ გაეცნო ამ მხარეს: „ქართლში ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და ტფილისი“ - აღნიშნავდა ფრანგი მოგზაური, თუმცა იქვე, მიგვითითებდა, რომ შუადღეს მივიდა „ერთ პატარა სოფელში, რომელსაც ალი ეწოდება. ის ცხრა ეჯზე არის გორიდამ და ორ მთას შორის მდებარეობს...“ **(ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975: 295-296).** ამ დროისთვის ამ ისტორიულ ქართულ სოფელს არაერთი განსაცდელი ჰქონდა გადატანილი, რაც გამოიწვევდა მის „პატარა სოფლად“ გადაქცევას. თუ 1770 წლის ქართლ-კახეთის აღწერასაც გავითვალისწინებთ, იმ დროისთვის ალი ქალაქად აღარ მოიხსენიება **(ჯავახიშვილი, 2011: 254-269).**

1818 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით ალში 44 კომლი ცხოვრობდა, 247 მამაკაცი და 103 ქალი (სულ 250 სული). დომინანტი გვარი ნოზაძე იყო. როგორც ირკვევა, ამ გვარის ერთი წარმომადგენელი ლაზარე ნოზაძე 1815 წელს იმერეთიდან მოსულა, გლახა ნოზაძე კი - ჯავახეთიდან. სამაგიეროდ, იმავე პერიოდში სურამელი ებრაელების წინაპარი მოსე ფორჩხიძე სურამში ალიდან დამკვიდრებულა **(ქიტიაშვილი, 1991: 2).** 1865 წელს ალში კომლების რაოდენობა ოთხმოცდაცამეტამდე გაზრდილა, მათი უმეტესობა სახელმწიფო მიწაზე მცხოვრები იყო - 90 კომლი, 3 კომლი დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ **(ლაბაძე, 2021: 95-114).** მოსახლეობის ზრდის ტენდენცია მომდევნო 1886 წლის კამერალური აღწერის დროსაც შეიმჩნევა, ამ დროისთვის კომლთა რაოდენობა 206-ს შეადგენდა, 161 კომლი ქართველი იყო, 45-სომეხი **(ლაცაბიძე, 2019 ა: 5).**

ჭერათხევის ხეობის ყველაზე დიდი სოფელში ამჟამად, ძირითადად ცხოვრობენ: ნოზაძეები, ახალკაცები, გაგნიძეები, გელაშვილები, პაპუაშვილები, სხილაძეები,

კულიჯანოვები, გარსევანოვები, ლოლაძეები, ტაბაშიძეები და სხვები. ყველაზე მრავალრიცხოვანნი ნოზაძები არიან, რომლებიც რამდენიმე შტოდ იყოფიან: ივანიკიანთი, გაბელიანთი, დათილიენთი, აგაშენაანთი, მამუკიენთი, უმცროსაანთი, წურიეენთი, გოგლიენთი, შიოენთი, გიგლაანთი და ბესაანთი **(ლაცაბიძე, 1991: 10).**

1715 წლის აღწერით კი „დაწყევლილს ალში“[3] 22 კომლს უცხოვრია: თვალიკაკაშვილი (1 კომლი), ნებიერიძე (1 კომლი), გრიგალაშვილი (1 კომლი), გიგინაშვილი (1 კომლი), გოჩაშვილი (2 კომლი), კვინიკაძე (2 კომლი), დალაქი (1 კომლი), პირველაშვილი (1 კომლი), პერენიძე (1 კომლი), მეზვრე (1 კომლი), კაპანაძე (1 კომლი), ჭურაძე (1 კომლი), ჯვარელიძე (1 კომლი), დვალი (1 კომლი), დემეტრე (1 კომლი), ხუცო (1 კომლი), ჟოჟუაშვილი (1 კომლი), დათუნა (1 კომლი), ატოცელი (2 კომლი). როგორც აღწერიდან ჩანს, ალში 2 კომლი ატოციდან ყოფილა მიგრირებული - გიორგი და ზაზუტა ატოცელები, ნადირა დვალი დვალეთიდან უნდა იყოს მოსული. დავთარში ვხვდებით ხელობის მიხედვით მოხსენიებულ პირებს: ვახუშტი დალაქსა და ხახუტა მეზვრეს. რამდენიმე მეკომლე გვარის გარეშე, მხოლოდ საკუთარი სახელითაა მითითებული: დემეტრე, ხუცო, დათუნა **(თაყაიშვილი, 1907: 177).**

ქინძათი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის თემში, მდინარე ჭერათხევის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან დაშორებულია 820 მეტრით.

ქინძათი მოხსენიებულია ალექსანდრე დიდის XV საუკუნის ერთ სიგელში, რომლის მიხედვით, აქ მცხოვრებ ივანეზა მურაჩაშვილს „თექვსმეტი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი[4] და ათი კოდი პური“ უნდა გაეღო ულუმბის მონასტრისთვის.

XVII საუკუნის დასაწყისში ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთრის მონაცემებით ქინძათში 11 კომლს უცხოვრია: მრაჭველებს, ზურაბაშვილებს, დათაშვილებს, შერმაზანაშვილებს, ალუმასშვილებს, ტაგანაშვილებს... სოფლიდან აყრილან ალექსიშვილები.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქინძათი უკვე საუფლისწულო მამული იყო, იმ დროისთვის აქ ცხოვრობდნენ: მაისურაძები, ტერტერაშვილები, ბიბილურები, ზღუდრელისშვილები, პარუბეგაშვილები, ქოჩორაძეები, ქიმერიძეები, ტაგანაშვილები, ჯანიასშვილები, ინასარიძეები. მოგვიანებით სოფელში მკვიდრდებიან: შავალაშვილები, ნურალაშვილები, გურაბანიძეები, მურადაშვილები. 1865 წელს რვა სახელმწიფო მიწაზე მცხოვრები გლეხი იყო და ერთი დროებით ვალდებული, 1886 წლის აღწერის დროს კი კომლების რაოდენობა 29 კომლამდე გაიზარდა, 20 კომლი ქართველი და 9 კომლი სომეხი.

დღეს ქინძათში ცხოვრობენ: ქიტიაშვილები, დარბაიძეები, ბარბაქაძეები, გაგნიძეები, ინასარიძეები, ენჯიბაძეები, კურტანიძეები, მიქელაძეები, მულაძეები, ხაჩიძეები, ნოზაძეები, ტეფნაძეები, საყვარელიძეები.

1715 წლის დავთრის მიხედვით ქინძათში მხოლოდ ექვსი კომლია აღწერილი: გოშფარიშვილი (1 კომლი), მრაჭველი (2 კომლი), ქოჩორაძე (3 კომლი). XVII საუკუნის აღწერებთან შედარებით სოფელში ვითარება მკვეთრადაა შეცვლილი, შემცირებულია კომლების რაოდენობაც. ძველი გვარებიდან სოფელში მრაჭველები და ქოჩორაძეები

[3] წყაროში ასეა მოხსენიებული.

[4] ზურგიელში დამარილებული ზუთხის, ორაგულის ან სხვა თევზის ზურგის ანაჭერი იგულისხმებოდა.

შემორჩენილან. იმ დროისთვის ქინძათი ბაგრატიონ-დავითაშვილებს ეკუთვნოდათ. ქართლის მეფე იესე ალიყული-ხანი 1715 წლის 27 თებერვალს შიდა ქართლის სოფელს ელიზბარ დავითაშვილს აკუთვნებს **(თაყაიშვილი, 1907: 177).**

ნაბახტევი ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის თემის სოფელია. მდებარეობს მდინარე ჭერათხევის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან დაშორებულია 720 მეტრით. ს. მაკალათიას მიხედვით, სოფლის სახელწოდება, ხალხური ეტიმოლოგიით, ნატახტევიდან უნდა მომდინარეობდეს, „აქ ძველად ყოფილა მეფის საზაფხულო რეზიდენცია“. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ახალ და ძველ ნაბახტევზე და მის მფლობელებზე: „ძველი ნაბახტევი მაღლობზეა, სადაც დარჩენილია ნამოსახლარის ნაშთები... ახალი ნაბახტევი გაშენებულია დაბლობზე ალის ფრონეს ნაპირას. მოსახლეობენ ქართველები და გაქართველებული სომხები. ნაბახტევის მებატონე ყოფილა თარხნიშვილი (ახალქალაქიდან), რომელიც ღალას იღებდა, დღიურზე ორ კოდსა და ორ ჩანახ ჭირნახულს და 6 მანეთს ფულად. მისგან ეს სოფელი შეუსყიდია გორელ ნოტარიუს კიკნაძეს და იგი ბატონობდაო“ **(მაკალათია, 1963: 72-74).**

ნაბახტევის შესახებ ცნობები XV საუკუნიდან გვხვდება. აღნიშნული საუკუნის დასაწყისში ამ მხარის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბსა და მის მეუღლეს რუსას მოუხატინებიათ ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია. გაცილებით ადრინდელი, XIV საუკუნით თარიღდება კედლის მხატვრობის სხვა ნიმუშები, მათ შორის „აბრამის მასპინძლობა“. ქუცნა ამირეჯიბის, მისი მეუღლის, შვილისა და ალექსანდრე მეფის სურათები სამხრეთის კედელზე იყო განთავსებული[5]. ამირეჯიბი მთელი ტანით ყოფილა გამოსახული, რომელსაც ხელში ტაძრის მოდელი ეკავა. ს. მაკალათიას დასკვნით, ქუცნა უნდა ყოფილიყო თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად დაზიანებული ტაძრის აღმდგენი. არ გამორიცხავს ნაბახტევში ყოფილიყო მისი რეზიდენცია, „სადაც იყო მაგარი ციხე და შესანიშნავი კარის ეკლესიაც.“ **(მაკალათია, 1963: 74-76).**

XVII საუკუნის დასაწყისში, 1609 წელს ლუარსაბ მეორეს ნაბახტევი გიორგი სააკაძისთვის უბოძებია. სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სოფელი სახასო მფლობელობაში მოექცა. 1652 წელს კი როსტომ მეფემ ისევ სააკაძეებს დაუბრუნა. სოფლის ახალი მებატონე იორამი გახდა, რომელმაც 1676 წელს ნაბახტევი მდივან შანშეან-მარტიროზიშვილს მიჰყიდა. XVII საუკუნის მიწურულიდან ქვათახევის საწინამძღვროს მიეკუთვნებოდა **(ქართული სამართლის ძეგლები, 1965: 228-229).**

ვახუშტი ბატონიშვილის მინიშნებით: „ვაყას ზეით არს ნაბახტევი და ნაციხვარი... ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის წყალი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 376). აღნიშნულ ციხეზე ყურადღებას ამახვილებს ს. მაკალათიაც: „დარჩენილია ციხის ერთი კედელი, ციხე დანგრეულია, ძნელია მისი გეგმის დადგენა, დარჩენილია კედელი - სიგრძე 15 მეტრი, სიმაღლე - 8 მეტრი“ **(მაკალათია, 1963: 75).** ხალხური გადმოცემით, ლეკებს, ერთ-ერთი თავდასხმის დროს ციხე აუღიათ, სახელგანთქმული მებატონე ქუცნა მოუკლავთ და გვამი ეკლესიაში დაუგდიათ, მისი ცოლი კი შეუპყრიათ, მაგრამ დატყვევებულისთვის ნება დაურთვიათ, უკანასკნელად ენახა ქმრის ნეშტი. ტაძარში

[5] ამჟამად ფრესკები ნაბახტევის ტაძრიდან ჩამოხსნილია და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

შესულს დანით თავი მოუკლავს და მეუღლესთან ერთად ეკლესიაში დაუკრძალავთ **(მაკალათია, 1963: 75-76).**

1715 წელს ნაბახტევში 25 კომლს უცხოვრია, თუმცა წყაროში მხოლოდ 5 კომლია აღნუსხული, დედანს ერთი ფურცელი აკლდა. გოგიბაშვილი (1 კომლი), გონგლაძე (2 კომლი), პაპუნიშვილი (1 კომლი), მამულაშვილი (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 177-178).** გონგლაძეები ბოლო დრომდე შემორჩნენ სოფელს, დანარჩენები კი ლეკიანობის დროს გახიზნულან **(მაკალათია, 1963: 74).**

სოფელი ბრილი[6] მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის თემში, ჭერათხევის მარჯვენა შენაკად მდინარე ბურნეულის სათავეებთან, ზღვის დონიდან 750 მეტრის დაშორებით. აქ 1898 წელს მიაკვლიეს ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნიმუშს - ბრილის ჯვარს, რომელიც X საუკუნით თარიღდება. ჯვარი გლეხ პეპო ქართველიშვილის ეზოში იქნა აღმოჩენილი. შესრულებულია ოქრომჭედლის მიერ. იგი იმ პერიოდის გამორჩეული მოღვაწის დავით კურაპალატის წინსაძღოლი ჯვარი ყოფილა. „ჯვრის წინა პირზე გამოსახულია ჯვარცმულ ქრისტესა და წმინდანთა ფიგურები. ფონი და ზურგი მთლიანად დაფარულია გრავირებული ფოთლოვანი ორნამენტით. წინა პირის ქვედა მკლავზე დამკვეთის, ტაოს მფლობელის დავით კურაპალატის სახელია ამოკვეთილი, ზურგზე - შემსრულებლის სახელი - ასათ მოქმედი“. ქრისტეს ტანჯვით აღბეჭდილი მეტყველი სახე, იოანეს მოკრძალებული ფიგურა და იოანესა და მარიამის სამოსლის ოსტატურად მოდელირებული ნაკეცები ოქრომჭედლის ნიჭიერებაზე მეტყველებს.“ თ. ლაცაბიძე ბრილის ჯვარს ქართული რენესანსის ისტორიის საწყისად მიიჩნევს და ხაზს უსვამს მის გამორჩეულ მნიშვნელობას **(ლაცაბიძე, 2019 ბ: 3).** ბრილის ჯვარი ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება.

ს. მაკალათიას აღწერით: ბრილი ალის ფრონიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული და „თავისი კარგი წყაროთია ცნობილი“. „ძველი ბრილის ნასოფლარი მაღლობზეა, სადაც დარჩენილია ეკლესიების ნანგრევები: წმინდა ნინო, ღვთაება, ღვთისმშობელი. ბრილი მოზრდილი სოფელი ყოფილა, იგი ჰკუთვნებია ამირეჯიბს... შემდეგ ბრილის ნასოფლარს დაუფლებია საქაშეთელი დიასამიძე. სოფლის თავზე დიასამიძეს აუშენებია ქვითკირის პატარა ეკლესია წმინდა ნინოს სახელობაზე. ეკლესია ერთნავიანია. მისი თაღი გადმოყვანილია აგურით. ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე ჩასმულია ქვაფიქალი მხედრული წარწერით: 1689 წ. ამ თარიღის მიხედვით ირკვევა, რომ დიასამიძეს ეს ტაძარი აუშენებია ქართლის მეფის ერეკლე I (ნაზარალიხანის) მეფობაში (1688-1703 წ.). ბრილიც მის მფლობელობაში უნდა გადასულიყო ამაზე უწინარეს, დაახლოებით მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში“ **(მაკალათია, 1963: 76).**

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით „ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის წყალი, დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის“ **(ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 376).**

[6] ამავე სახელწოდების სოფლები გვხვდება შუახევის მუნიციპალიტეტში, ცხინვალის რეგიონში, ნასოფლარია რაჭაში.

1865 წელს ბრილში 11 კომლი გლეხი ცხოვრობდა, 1 სახელმწიფო და 10 დროებით ვალდებული, 1886 წელს კი კომლების რაოდენობა 35-მდეა გაზრდილი (145 მამაკაცი და 127 ქალი, სულ 272 სული). ბრილის მცხოვრებნი ეთნიკური ქართველები იყვნენ.

ბრილში ცხოვრობენ: აბულაძეები, ბუთურიშვილები, გათიკაშვილები, გოგალაძეები, გოგიჩაიშვილები, დევაძეები, იმერლიშვილები, კილაძეები, მურმანიშვილები, ნოზაძეები, სამხარაძეები, სვანაძეები, სტეფნაძეები, ქართველიშვილები, ღონღაძეები, შტააძეები, შუბითიძეები, ჩუბინიძეები, ციციშვილები, ხაჩიძეები, ხიხაძეები და სხვები **(ლაცაბიძე, 2019 ბ: 3).**

1715 წლის დავთრის მიხედვით, ბრილში 43 კომლი ცხოვრობდა: სახლთხუცესი (1 კომლი), მღ(ვ)დელი ნიკოლოოზ (1 კომლი), მღ(ვ)დელი ფირან (1 კომლი), ფირანის ძმა თარი (1 კომლი), მღ(ვ)დელი დათუნა (1 კომლი), ადუაშვილი (3 კომლი), ბიძინაშვილი (1 კომლი), ხოჯიშვილი (1 კომლი), დომელაშვილი (1 კომლი), თორელაშვილი (1 კომლი), ენუქაშვილი (1 კომლი), მამასახლისი (1 კომლი), ბერიშვილი (3 კომლი), ზაზას ყმა ბეჟუა (1 კომლი), ბიძინაშვილი (1 კომლი), ჯობაძე (1 კომლი), ბერეკაშვილი (1 კომლი), ტოტაძე (3 კომლი), ხატელიშვილი (4 კომლი), დვალი (1 კომლი), ტეტუნაშვილი (1 კომლი), კროგალი (1 კომლი), დათაშვილი (1 კომლი), ისაკაშვილი (1 კომლი), შეკულაშვილი (1 კომლი), ჩუბინიშვილი (1 კომლი), მზარეულიშვილი (1 კომლი), მამუკაშვილი (1 კომლი), ჩიჩიძე (1 კომლი), იმერლიშვილი (1 კომლი), ბერუაშვილი (1 კომლი), ჯალალყიშვილი (1 კომლი), მკერვლიშვილი (1 კომლი), დათუნა ხუცის ყმა (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 179).** აღწერაში რამდენიმე ფაქტი იქცევს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. სოფელში სამი მღვდელი იყო: ნიკოლოზი, ფირანი და დათუნა. აღწერაში ნახსენებია ფირანის ძმა ოთარი, გვარი არცერთს უწერია. წყაროში ნახსენები ზაზას ყმა, აღწერის რიგის მიხედვით, ზაზა ბერიშვილის ყმა უნდა ყოფილიყო, ხოლო დათუნა ხუცის ყმა (სახელი მითითებული არაა) დათუნა მღვდლის ხელქვეითი ჩანს. ვხვდებით ორ სახელოს - სახლთუხუცესის და მამასახლისის. სახლთუხუცესები საქართველოში XVI საუკუნის დასაწყისიდან იხსენიებიან. სახლთუხუცესი გახლდათ მეფისა და მსხვილი ფეოდალების გავლენიანი მოხელე, რომელსაც სამეურნეო-საფინანსო და ადმინისტრაციულ ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა. ვახუშტის მიხედვით, სახლთუხუცესი იგივე იყო, რაც აბრამადი, სულხან-საბა კი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც ეზოსმოძღვარს, ნაზირს (ზედამხედველს, მეთვალყურეს დ.ა.) **(სულხაბ-საბა ორბელიანი, 1991: 37).** ბრილში მცხოვრები ამოან „სახლთხუცესი“ ამ მხარეში საკმაოდ ავტორიტეტული პირი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მახარა მამასახლისის სახელოს; სოფლის მამასახლისს, ძირითადად, გლეხთა წრიდან ირჩევდნენ. მას ევალებოდა ხალხისთვის ეცნობებინა ცენტრალური ორგანოების ბრძანება-განკარგულებანი, არჩევდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წვრილ საქმეებს, ეხმარებოდა სათანადო მოხელეებს გადასახადების გაწერა-აკრეფაში... მამასახლისები გადასახადებს არ იხდიდნენ, პირიქით, მამასახლისის გასამრჯელოს გადახდა გლეხებს ეკისრებოდათ.

მკერვლიშვილი, რომლის საკუთარი სახელი მკერვალია, მკერავის ხელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ისევე როგორც მზარეულიშვილი - მზარეულის და ჩუბინიშვილი ჩუბინის ხელობასთან. მკერვალი მკერავის ადრინდელი ფორმა იყო, სულხან-საბა ორბელიანის მითითებით, მკერვალი კერვის მოქმედია, შემკერავი **(სულხაბ-საბა**

ორბელიანი, 1991: 488). ჩუბინი კი ქამანდარს, საუკეთესო მსროლელს ნიშნავდა... დვალეთიდან მოსული ჩანს ბერი დვალი.

სოფელი წაბლოვანა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოცხნარის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 800 მეტრით.

XVII საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფე გიორგის წაბლოვანა დავით ბოქაულთუხუცეს დავითაშვილისთვის გადაუცია, რაც 1615-1619 წლების წყალობის სიგელით დასტურდება. 1634 წელს სოფელზე დავა ჰქონიათ დავით და რამაზ დავითაშვილებს: „მოჰყვა რამაზ მისის შვილებითა და დააფიცეს, გამოეფიცა დავით და გამოიტანა ფიცითა... სოფელი წაბლოვანა... ესეები უკლებლივა დავით გამოიფიცა და იმას დარჩა“- ვკითხულობთ როსტომ მეფის განჩინებაში **(ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972: 69).**

წაბლოვანაზე დავა მომავალშიც გაგრძელებულა. 1715 წლის 27 თებერვლის განჩინების მიხედვით მოდავენი ელიზბარ დავითიშვილი და გიორგი რამაზიშვილი ყოფილან. „ამირეჯიბისაგან ნასისხლი სოფელი წაბლოანა“ დავითაშვილს დარჩენია **(ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972: 262-263)**. ზოგადად, ფრონის ხეობის სოფლებზე მებატონეთა დავის შემთხვევები ხშირი იყო.

წაბლოვანას მოსახლეობის შესახებ პირველ ვრცელ ცნობებს XVII საუკუნიდან ვხვდებით. ზემო ქართლის სადროშოს დავთრის ნაწყვეტის მიხედვით წაბლოვანაში ცხოვრობდა 7 კომლი საუფლისეულო მსახლობელნი: ნოზაძეები, ტაბატაძეები, პატარაძეები, ჯვარელიძეები, ეკალაძეები, შუბითიძეები (45 მამაკაცი) **(ჯავახიშვილი, 1974: 42).**

იოანე ბატონიშვილის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერის დროს, ლეკიანობის განუწყვეტელი თარეშის შედეგად წაბლოვანა ნასოფლართა რიგში გვხვდება **(იოანე ბაგრატიონი, 1986: 44).** თუმცა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, წაბლოვანადან თავიანთი ფარ-ხმლითა და თოფებით მორიგე ლაშქარში გაუწვევიათ: ნოზაძე პაატა, ჯვარელიძე ნადირა, ეკალაძე ნასყიდა, ადუაშვილი თამაზა, პატრიძე ბეჟუა, ტაბატაძე ივანე, ტაბატაძე გიორგი, ვერგილაშვილი თამაზა, პატრიძე გოგილა, ტაბატაძე ნადირა, პატრიძე ბერი და ოსაძე ბერი **(ჯავახიშვილი, 1974: 185).**

XIX საუკუნის ბოლოს, 1886 წლის აღწერის მიხედვით, წაბლოვანაში 16 კომლია (70 კაცი და 61 ქალი, სულ 131 სული): გელაშვილები, ნოზაძეები, ხმალაძეები, კაპანაძეები, გოგოლაძეები, ყველა მათგანი ქართველი იყო, მართლმადიდებელი ქრისტიანები **(ლაცაბიძე, 2021 ა: 97).**

ამჟამად წაბლოვანაში ცხოვრობენ: გელაშვილები, ნოზაძეები, კაპანაძეები, ფატარიძეები, გოგალაძეები, ზედგენიძეები **(ლაბაძე, 2022: 183).**

1715 წლის დავთრის მიხედვით „წაბლუანაში“ ათი კომლი ცხოვრობდა: მახარებლიშვილი (2 კომლი), ეკალაძე (1 კომლი), შუმშითიძე (1 კომლი), კერგილაშვილი (1 კომლი), ნოზაძე (1 კომლი), ჯვარელიძე (1 კომლი), ტაბატაძე (2 კომლი), პეტრიაშვილი (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 179).**

სოფელი ქემფერი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოცხნარის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან დაშორებულია 800 მეტრით. სოფელი ორი ერთმანეთისაგან უბნისაგან შედგება, ქემფერისა და ნარვანისაგან **(ლაბაძე, 2022: 174).**

სოფელში, საკოლმეურნეო ფერმის მშენებლობისას აღმოუჩენიათ ბრინჯაოს ნივთები. 1984 წელს, ადგილ კორანტყეში ნაპოვნი იქნა ორი პატარა ცილინდრული ფორმის ბრინჯაოს ზარი სამკუთხედის ფორმის საკიდებით. ორივე ზარი ცალ მხარეს გახსნილ ბრინჯაოს ჯაჭვზე იყო ჩამოკიდებული, თითოეულის სიგრძე 15 სანტიმეტრია. ერთ-ერთ ზარს გვერდი აქვს დაზიანებული. არანაკლებ საყურადღებოა მშენებლობისას შემთხვევით აღმოჩენილი კიდევ ერთი ნივთი - ბრინჯაოს ბეჭედი ცხოველის გამოსახულებით, რომლის ფეხებს შორის ჯვარია ამოკვეთილი. ნივთები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება **(ლაბაძე, 2022: 175).**

ქემფერმა, ფრონის ხეობების სხვა სოფლებთან ერთად მძიმე გზით მოაღწია დღევანდლამდე. XVIII საუკუნის ბოლოს, ლეკიანობის გამო იავარქმნილი სოფელი ნასოფლარად გადაქცეულა. „კვალად აღსდგნენ ლეკნი და იწყეს ტყუენვა ქართლისა, დაესხნენ ორგზის ქარელსა და მოსწყვიდნეს მრავალნი მუნებურნი, კვალად მიუხდნენ და წარტყუენეს ყელქცეული (გორის მუნიციპალიტეტშია - დ.ა.) აგრეთვე ქენფერი“ - წერს თეიმურაზ ბაგრატიონი **(თეიმურაზ ბაგრატიონი, 1983: 68).**

XIX საუკუნის დასაწყისში ქემფერში იმერეთიდან მიგრირებული მოსახლეობა დამკვიდრდა; ლაბაძეები ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შროშადან ჩამოუსახლებიათ, ლომიძეები - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევიდან **(ლაბაძე, 2022: 176).** 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მონაცემებით, ქემფერში 6 კომლი ცხოვრობდა, 12 მამაკაცი და 12 ქალი (სულ 24 სული). 1818 წლისთვის 1 კომლი სახაზინო გლეხი იყო, 6 საბატონო, ქართველები **(ხაჩიძე, 2019: 2-3).** 1832-33 წლებში კომლების რაოდენობა 14-მდეა გაზრდილი (68 მამაკაცი, 52 ქალი), 1865 წელს 13 კომლი იყო (8 კომლი სახელმწიფო მიწაზე მცხოვრები, 5 კომლი - დროებით ვალდებული. 1886 წელს კომლებისა და მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრადაა მომატებული და 55-ს შეადგენს (სულ 293 ადამიანი, 166 მამაკაცი, 127 ქალი). მათი ერთი ნაწილი (19 კომლი) იმერეთიდან იყვნენ მიგრირებულნი: ლაბაძეები, ლომიძეები, კიკნაძეები, ბლიაძეები, გოგილაძეები, ჭანკოტაძეები, ბარბაქაძეები, თათარაშვილები, გიგაშვილები, გიკაშვილები და მურმანიძეები (მურვანიშვილები). სოფელში მათთან ერთად მკვიდრობდნენ: ქურდაძეები, ლომსაძეები, ტაბატაძეები, გოგატაშვილები, ღონღაძეები, ჭაპანაშვილები, ტოტორაშვილები **(სეასცა, ფ. 254, ან.3, საქმე 1678, ფურც. 100-118; ლაცაბიძე, 2019 გ: 5; ლაბაძე, 2022: 174).**

ამჟამად სოფელში ცხოვრობენ: გელაშვილები, თათარაშვილები, ქურდაძეები, ლომიძეები, ლაბაძეები, ლომსაძეები და სხვები (**ლაბაძე, 2022: 174).**

1715 წლის მონაცემებით, ქემფერში 11 კომლი ცხოვრობდა: ანჯაფიშვილი (1 კომლი), მიხლანჯი (1 კომლი), საბაიკიძე (1 კომლი), ჭაბუკაძე (1 კომლი), იმედაშვილი (2 კომლი), ირემაძე (3 კომლი), ხარატი (1 კომლი)[7], ტაბატაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 180).**

სოფელი ცედანი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოცხნარის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ტილიანას მარცხენა შენაკად მდინარე ფრონის სათავესთან, ზღვის დონიდან დაშორებულია 880 მეტრით.

ცედანი წყაროებში პირველად „დოროთეოზ კათალიკოსის შეწირულების სიგელში“ მოიხსენიება, რომელიც XVI საუკუნის ბოლო პერიოდითაა დათარიღებული. იტრიის

[7] ხელობასთან ასოცირებული გვარი ხარატი ქემფერის მკვიდრთა შორისაც გვხვდება.

ღვთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირულ ყმებს შორის ცედანში მცხოვრებ გლეხებსაც ვხვდებით: „ცედანს კოროპაძე მამისაი (და დათვი)აი, მათი შვილნი და მომავალნი“ **(ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970: 376).**

1693 წელს ერეკლე I ნაზარალიხანის დედას ელენეს ეს სოფელი „მისის კომლეურითა“ ზაალ აბაზაძისთვის უბოძებია (**ლაბაძე, 2022: 179).** მოგვიანებით, ცედანი ბევრჯერ გამხდარა სხვადასხვა მემამულეთა დავის მიზეზი; ივანე და სოლომონ აბაზაძეების დავის საგანი ცვედანის მკვიდრი ლომიძე იყო, შემდეგ კი აბაზაძეები და მახვილაძეები ედავებოდნენ ერთმანეთის სოფლის ყმა გლეხებისა და მამულებისთვის **(ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972: 57-60).**

XVIII საუკუნის ბოლოს, ლეკიანობამ ცედანიც ნასოფლარად აქცია, თუმცა XIX საუკუნეში სოფელში კვლავ დამკვიდრდა მოსახლეობა, მათი დიდი ნაწილი იმერეთიდან გადმოსახლებულა. 1886 წლის რუსული კამერალური აღწერის საოჯახო სიების მიხედვით, ცედანში 36 კომლი ცხოვრობდა, 151 მამაკაცი და 135 ქალი (სულ 286 სული), აქედან 51 კომლი იმერეთიდან იყო მიგრირებული **(ლაცაბიძე, 2021 ა: 74).**

ამჟამად სოფელში ძირითადად ცხოვრობენ: გოგალაძეები, დევაძეები, ცარციძეები, გრიგალაშვილები **(ლაცაბიძე, 2019 დ: 4; ლაბაძე, 2022: 179).**

1715 წლის აღწერით, ცედანში 12 კომლი ცხოვრობდა: კიკნაძეები (1 კომლი), პროპაძეები (5 კომლი), ლომიძეები (6 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 180).**

ოძისის სახელწოდებით საქართველოში რამდენიმე სოფელი გვხვდება,[8] მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ცოცხნარის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე ტილიანას ნაპირებთან, ზღვის დონიდან 850 მეტრითაა დაშორებული.

ერეკლე I ნაზარალიხანის დედა - ელენე 1693 წლის სიგელით, ოძისში ყმებსა და მამულებს ზაალ აბაზაძეს უბოძებს: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და რაც დიდს გიორგი მეფეს აქეთ სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან წყალობა გჭირვებოდათ და ან გქონებოდათ: ... ოძისს ჟღენტი და ლიპარიტაშვილი, ნოზაური ვენახი, თქვენთვის გვიბოძებია“ (**ლაბაძე, 2022: 169).**

1731 წელს ლეკებს დიდი ზიანი მიუყენებიათ ოძისისთვის: „მიუხდნენ ლეკნი... დაწვეს... ოძისი, წაიღეს ნაშოვარი, ტყვე თუ პირუტყვი“ (**ლაბაძე, 2022: 170).**

XVIII საუკუნის ბოლოს ლეკთა თავდასხმებისაგან ნასოფლარად ქცეულ სოფელში XIX საუკუნის ბოლოს, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, 31 კომლი ცხოვრობდა, 133 მამაკაცი და 133 ქალი (266 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები. მცხოვრებთაგან 5 კომლი იმერლები იყვნენ **(ლაცაბიძე, 2021 ა: 74).**

ამჟამად სოფელში ცხოვრობენ: ბლიაძეები, კიკნაძეები, ხაჩიძეები, ქათამაძეები და სხვები (**ლაბაძე, 2022: 168).**

1715 წლის აღწერით ოძისში 29 კომლი ცხოვრობდა: აბაზაძე (1 კომლი), ღვარძლაძე (3 კომლი), ჟღენტი (2 კომლი), მაჭარაშვილი (2 კომლი), სოლაკაძე (1 კომლი), ჯორელიშვილი (1 კომლი), გვეხიძე (4 კომლი), ბრეგვაძე (1 კომლი), კობალაძე (2 კომლი), ლიპარიტაშვილი (1 კომლი), კიკნაძე (11 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 181).**

[8] ოძისი ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს ქსნის ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს. ნასოფლარია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსტეს სამხრეთით. ზემო და ქვემო ოძისი ისტორიული სოფლებია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

სოფლის დომინანტი მოსახლეობა კიკნაძეები იყვნენ (11 კომლი), დავთარში მოხსენიებულია რევაზ აბაზაძე, 1886 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, ოძისში 18 აბაზაძე იყო (5 მამაკაცი და 13 ქალი) **(სეასცა, ფ. 254, ან.3, საქმე 1673, ფურც. 50-52)**. რუისის დავთარში ისევ გვხვდებიან გვარების: ჟღენტის და ლიპარიტაშვილის წარმომადგენლები, რომლებიც ერეკლე პირველის დედამ ელენემ 1693 წლის სიგელით ზაალ აბაზაძეს უბოძა.

1715 წლის აღწერაში ვხვდებით სოფელ ურთხვას, რომელიც მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სურამის სადაბო თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 800 მეტრითაა დაშორებული, ხაშურიდან 7 კილომეტრით. მოხსენიებულია იოანე ბატონიშვილის აღწერაში, იმ სოფლებისა და ნასოფლარების რიგში, რომლებიც იყვნენ „ქ. სურამის წყალზედ და მის ხეობაზედ სოფლები სამეფო, სათავადო სააზნაურო და საეკლესიო“. ურთხვა, რომელიც ძველ წყაროებში უთხვას სახელითაა ცნობილი, ამ დროს უკვე ნასოფლარი იყო **(იოანე ბაგრატიონი, 1986: 44).**

რუისის დავთრის მიხედვით „უთხვაში“ 11 კომლს უცხოვრია: ბლიაძე (3 კომლი), ჩადუნელი (1 კომლი), ბოლოკაძე (1 კომლი), ძიძიბაძე (1 კომლი), არსენაძე (1 კომლი), ქოჩორაძე (4 კომლი). სოფლის დომინანტი გვარები ქოჩორაძეები (4 კომლი) და ბლიაძეები იყვნენ (3 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 182).**

სოფელი ბიჯნისი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სურამის სადაბო თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სურამულას მარცხენა შენაკად მდინარე შუაღელეზე. ზღვის დონიდან 800 მეტრითაა დაშორებული, ხაშურიდან 8 კილომეტრით.

წყაროებში XIII საუკუნიდან იხსენიება. აქ უნახავს პირველად დავით ულუს მომავალი მეუღლე გვანცა დედოფალი (**ქართლის ცხოვრება, 1959: 237**). სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების წმინდა მარინეს დარბაზული ეკლესია. 1784-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში ნასოფლარებს შორის გვხვდება.

1715 წლის რუისის დავთრის მიხედვით ბიჯნისში 13 კომლი ცხოვრობდა: ჯეგაძე (2 კომლი), კოჩაძე (2 კომლი), პეპელაშვილი (1 კომლი), გიგაშვილი (3 კომლი), გელაშვილი (1 კომლი), ძულიაშვილი (3 კომლი), არჯევანიძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 183).**

ჩუმათელეთი ნასოფლარია ხაშურის მუნიციპალიტეტში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 860 მეტრით, ხაშურიდან - 9 კილომეტრით. ამჟამად დაბა სურამში ამ სახელწოდებით ერთ-ერთი უბანი გვხვდება. იოანე ბატონიშვილის აღწერის დროს ნასოფლარი იყო, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი 51 კომი ცხოვრობდა (155 მამაკაცი და 141 ქალი), 43 კომლს მიწერილი აქვს, რომ ქართველია და 7 კომლს - იმერელი, 1 კომლი სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების იყო **(ლაცაბიძე, 2021 ბ: 207).**

რუისის საეპისკოპოსო დავთრის მიხედვით ჩუმათელეთში 22 კომლი ცხოვრობდა: კორკოტაძე (1 კომლი), ბასილაშვილი (1 კომლი), გიორგაშვილი (3 კომლი), დედუნაშვილი (1 კომლი), ჩადუნელი (1 კომლი), კვირიაშვილი (2 კომლი), იოვანეშვილი (2 კომლი), ცარციძე (2 კომლი), გოგალაძე (1 კომლი), პეპელაშვილი (1 კომლი), ულუმბელაშვილი (3 კომლი), ღურკანაშვილი (1 კომლი), ტატიაშვილი (2 კომლი), შუბითიძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 183).**

ისტორიული სოფელი ზინდისი მდებარეობს სურამისწყლის ხეობაში, ამჯამად მოქცეულია დაბა სურამის საზღვრებში. სოფელი გიორგი IX-ეს (ქართლის მეფე 1525-1527

წლებში) იტრიის ეკლესიისათვის მიუყიდია: „შევსწირე ზინდისი (იტრიის ღვთისმშობელს - დ.ა.), გიორგის მეფისაგან მოსყიდული ძვირფასად, იჩქიტიძე მახარებელი ისპანა და მისი შვილებითა და შიო და მისი შვილი გიორგი, ჟამისაძე და ჩინჩალაძე, მისით მიწა-წყლითა, წისქუილითა და სამართლიანის მზღვრითა“ - ვკითხულობთ დოროთეოს კათოლიკოსის იტრიის ეკლესიისადმი 1584 შეწირულობის სიგელში **(ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970: 354).**

XIX საუკუნის ბოლოს იტრიის საზოგადოებაში შემავალ ზინდისში 20 კომლი ცხოვრობდა (57 მამაკაცი და 38 ქალი, სულ 95 სული) **(ლაცაბიძე, 2021 ბ: 207).**

1715 წლის საეპისკოპოსო დავთარში ზინდისი ზინდის სახელითაა მოხსენიებული, იმ დროისთვის სოფელში 6 კომლს უცხოვრია: აბაზაძე (3 კომლი), ღაღანიძე (1 კომლი), ნარიმანაშვილი (1 კომლი), ლუქუნიძე (1 კომლი).

აღწერის ბოლოს მხოლოდ ერთი სიტყვაა მიწერილი „დრამა:“ შესაწირი დაკონკრეტებული არაა **(თაყაიშვილი, 1907: 183).** სოფელში, ძირითადად, აბაზაძეებს უცხოვრიათ. ამ გვარის წარმომადგენლები ქართლის სხვადასხვა ხეობებში ბევრგან ფლობდნენ მამულებსა და ყმებს და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

ისტორიული სოფელი იტრია მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამის ჩრდილო-დასავლეთით, სურამულას ხეობაში. იგი ისტორიულ წყაროებში პირველად XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდება, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი იტრიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც ქართველი მეფეები, თუ სხვა საერო თუ სასულიერო პირები სხვა საგანძურთან ერთად ხშირად სწირავდნენ მამულებსა და მასზე დასახლებულ ყმებს. სოფლის წარსულის მკვლევარის თ. ლაცაბიძის დაკვირვებით: „ძველი იტრია მონასტრის დასავლეთით, სიღრმეში უნდა ყოფილიყო გაშენებული. რაც შეეხება დღევანდელს, იგი მოგვიანებით უნდა გაჩენილიყო ძველი იტრიიდან მოსახლეობის თანდათან გადმოსვლის ხარჯზე, ამიტომ მონასტერი სოფლის განაპირას აღმოჩნდა“ **(ლაცაბიძე, 2021 ბ: 112).**

XIX საუკუნის დასაწყისში იტრიაში ჩხეიძეებისა და აბაშიძეების კუთვნილი 8 კომლი ცხოვრობდა, საუკუნის ბოლოს კი 32 კომლი იყო, 98 მამაკაცი და 89 ქალი (187 სული), ყველა მათგანი ქართველი გახლდათ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, მათ შორის 7 კაცი თავად-აზნაურთა წოდებიდან იყვნენ, 9 კაცი - სასულიერო პირი. კომლების ძირითადი ნაწილი (28 კომლი, 93 მამაკაცი და 78 ქალი) სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობდა **(ლაცაბიძე, 2021 ბ: 207).**

1715 წლის დავთრის მიხედვით იტრიაში 42 კომლი ცხოვრობდა: გუნცაძე (1 კომლი), ბასილიშვილი (3 კომლი), მაჭავარიანი (1 კომლი), ხარაძე (2 კომლი), ბუში (1 კომლი), ბასილი (1 კომლი), ირამიშვილი (1 კომლი), მზარეული (1 კომლი), კაპანაძე (2 კომლი), ანდრიაშვილი (3 კომლი), ლომიძე (1 კომლი), კალატოზიშვილი (2 კომლი), კობალაძე (4 კომლი), მჭედელი (1 კომლი), გრიგალაშვილი (1 კომლი), დეკანოზიძე (3 კომლი), ლომიძე (1 კომლი), მამასახლისიშვილი (1 კომლი), ნონაშვილი (2 კომლი), მკერვლიშვილი (1 კომლი), იგდარაშვილი (1 კომლი), გოჩაშვილი (1 კომლი), ხახუტაშვილი (1 კომლი), გურულიშვილი (1 კომლი), კვინიკაძე (2 კომლი), მებალე (1 კომლი), ბერი (1 კომლი), ბლიაძე (1 კომლი). კომლების ჩამონათვალში ვხვდებით სასულერო პირებს: ლომიძე დათუნა მღვდელს და ბერ დანიელს. დეკანოზის შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ დეკანოზიძეები: მამუკა, ივანა და თამაზა. მამის ხელობიდან თუ სხვა საზოგადოებრივი

საქმიანობიდან გამომდინარე ნაწარმოები გვარებია: კალატოზიშვილი, მკერვლიშვილი, მამასახლისიშვილი. გვარის გარეშე, მხოლოდ ხელობის მიხედვითაა მითითებული რამდენიმე კომლის თავი: მზარეული პაპუნა, მჭედელი ბერა, მებალე თამაზა. გურიიდან უნდა იყვნენ მიგრირებულნი გურულიშვილები. გვარის გარეშეა მითითებული ერთ-ერთი მეკომლე ბასილი. ბუშის (უკანონოდ შეძენილი შვილის) სახელითაა აღწერილი ზაალი... **(თაყაიშვილი, 1907: 185).**

დაბა სურამი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, ლიხის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 740 მეტრით. 1926 წელს მიენიჭა დაბის სტატუსი.

სურამის მიდამოებში აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები: ბრინჯაოს საკინძი, რგოლი, სამაჯური, საკიდი; გვიანანტიკური ხანის ჭვირული ბალთა, ვერცხლის აქემენიდური მონეტა (**არქეოლოგიური მასალების კატალოგი, 1955: 32).**

XII ს-დან მოიხსენიება ქალაქის სტატუსით. 1526 წელს სურამი იმერეთის მეფის ბაგრატ მესამის (1510-1565) საკუთრებაშია ლუარსაბ პირველთან შეთანხმებით. XVIII საუკუნეში სურამი სამეფო ქალაქი იყო მოურავის განკარგულებაში (**ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 739).**

სურამში, დაბის სამხრეთით მდებარეობს სურამის ციხე, რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი და სურამის სინაგოგა. 1996 წლიდან 2013 წლამდე დაბის ტერიტორიაზე რუის-ურბნისის რეზიდენცია იყო განთავსებული, 2013 წლიდან სურამისა და ხაშურის საეპისკოპოსო რეზიდენციაა.

1715 წლის აღწერით სურამში 32 კომლი იყო: მურვანიშვილი (2 კომლი), ტუღრინაშვილი (1 კომლი), ციმანკურიძე (1 კომლი), ბაიაშვილი (1 კომლი), პაპინაშვილი (1 კომლი), ნებიერიძე (2 კომლი), სანდაძე (1 კომლი), ჯობაძე (8 კომლი), ლხინიაშვილი (1 კომლი), ბანჩურიშვილი (1 კომლი), ბებიაშვილი (3 კომლი), რევაზიშვილი (2 კომლი), ბარბაქაძე (2 კომლი), ძამაშვილი (1 კომლი), ბიბილაური (1 კომლი), შათირიშვილი (1 კომლი), ურიაყოფილი (1 კომლი), სვიმონაშვილი (1 კომლი), კვირიკაძე (1 კომლი). როგორც აღწერიდან ჩანს, სოფლის წამყვანი გვარი ჯობაძეა (8 კომლი), ელიზბარ ურიაყოფილის გვარი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ის გაქართველებული ებრაელი იყო. სოფელში აღწერილია ერთი სასულიერო პირიც: ბებიაშვილი გაბრიელ მღვდელი **(თაყაიშვილი, 1907: 186).**

იქვე ცალკე სოფლადაა აღწერილი ზე სურამი, სადაც 15 კომლი ცხოვრობდა: მთიულიშვილი (1 კომლი), გვერეხაშვილი (4 კომლი), ბებიაშვილი (2 კომლი), ქურდაძე (1 კომლი), ფარეშიშვილი (1 კომლი), ცხერელაშვილი (1 კომლი), ყიმშიძე (1კომლი), ადომლიშვილი (1 კომლი), ჩოლაყაშვილი (1 კომლი), მუმლაძე (1 კომლი), ბარბაქაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 186-187).** აღწერებში გვხვდება გვარები, რომლებიც ორივე დასახლებაში გვხვდებიან: ბებიაშვილები, ბარბაქაძეები, კომლის წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს გვარი მთიულიშვილი **(თაყაიშვილი, 1907: 187).**

ბეკამი ძველი სახელწოდება იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი და პატარა ბეკამის. ვახუშტი ბატონიშვილი ბეკამს სურამის წყლის სოფელთა სიაში მოიხსენიებს **(ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 376).**

2014 წლის აღწერის მონაცემებით დიდ ბეკამში 82 მამაკაცი და 98 ქალი ცხოვრობდა (180 სული), პატარა ბეკამში კი გაცილებით მეტი: 159 მამაკაცი და 168 ქალი (327 სული) **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ნოემბერი, 2014).**

1715 წლის აღწერის მიხედვით ბეკამი მრავალრიცხოვანი სოფელი ყოფილა, სადაც 45 კომლი ცხოვრობდა: არახჩიაშვილი (1 კომლი), ბადრიშვილი (1 კომლი), ბიძინაშვილი (1 კომლი), კანჭაშვილი (1 კომლი), მათიაშვილი (6 კომლი), გრიგალაშვილი (1 კომლი), ვარდიაშვილი (1 კომლი), ლალუაშვილი (3 კომლი), ხუნიაშვილი (1 კომლი), კაკიაშვილი (1 კომლი), ივანაშვილი (1 კომლი), ადუაშვილი (1 კომლი), ბარბახაშვილი (1 კომლი), ძულიაშვილი (2 კომლი), გიორგაშვილი (1 კომლი), შოშიაშვილი (3 კომლი), ძელიაშვილი (1 კომლი), ტუკაძე (3 კომლი), კურტანიძე (1 კომლი), მამასახლისი (1 კომლი), მღ(ვ)დელი ელიოზ (1 კომლი), ტაბატაძე (1 კომლი), ბარბაქაძე (1 კომლი), მღვდელი ნიკოლოოზ (1 კომლი), ბლიაძე (2 კომლი), ნოზაძე (3 კომლი), ხარატი (1 კომლი), გუდაძე (2 კომლი), მღვდელი პავლე (1 კომლი). სოფელში სამი სასულიერო პირი ცხოვრობდა, რომლებიც გვარების გარეშე, საკუთარი სახელებით არიან მოხსენიებულნი. აღწერაში ასევე ვხვდებით: კაცია მამასახლისს, სეხნია ხარატს. სოფლის დომინანტი გვარი მათიაშვილი იყო (6 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 187-188).**

სხვა სოფლებზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ყოფილა სოფელი ტეზერი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემში მდებარეობს, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 800 მეტრით, ხაშურიდან 7 კილომეტრით.

1715 წლის დავთარში ტეზერის მოსახლეობა სამ ნაწილადაა წარმოდგენილი. პირველ სახუცოში 22 კომლია აღრიცხული: ორჯონიკიძე (6 კომლი), მაჭავარიანი (1 კომლი), აიდარაშვილი (3 კომლი), ხაჯაველიძე (4 კომლი)[9], აბრამაშვილი (1 კომლი), გოგატაძე (1 კომლი), ზაქარიაშვილი (1 კომლი), თეგაძე (1 კომლი), ნებიერიძე (2 კომლი), ჩიქუანი (1 კომლი), დევაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 188-189).**

„მეორე სახუცო ტეზერიში“ 49 კომლია: სავანელი (5 კომლი), რუსაშვილი (3 კომლი), მაჭავარიანი (1 კომლი), გარსიაშვილი (1 კომლი), რუამაშვილი (2 კომლი), მანუტაშვილი (3 კომლი), ნასყიდაშვილი (1 კომლი), ელისაშვილი (1 კომლი), რევაზაშვილი (2 კომლი), ციხელაშვილი (6 კომლი), ელიაშვილი (2 კომლი), მაჩხაშვილი (1 კომლი), მჭედლიშვილი (2 კომლი), მერაბაშვილი (1 კომლი), სუმბაძე (3 კომლი), სავანლის ბუში (1 კომლი), ნოზაძე (2 კომლი), ბლიაძე (1 კომლი), ფშოტიძე (7 კომლი), მაჭავარიანის ბუში (1 კომლი), თურგანიძე (1 კომლი), რუფაქიძე (1 კომლი), ბოხაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 189-191).**

„მესამე სახუცო ტეზერიში“ 40 კომლი იყო: ჩიკოიძე (1 კომლი), ბუჟღულაშვილი (4 კომლი), ბეროზაშვილი (3 კომლი), ოთიაშვილი (1 კომლი), წვერიანიშვილი (1 კომლი), ძურიაშვილი (1 კომლი), ძულიაშვილი (3 კომლი)[10], არავიაშვილი (7 კომლი),[11] ჩაჩანიძე (2 კომლი), მწეველიძე (2 კომლი), ჭყიოძე (1 კომლი), ლაცაბიძე (1 კომლი), კაპანაძე (2 კომლი), ნოზაძე (2 კომლი), თომაძე (1 კომლი), ღამბაშიძე (2 კომლი), ბითაძე (3 კომლი), ღონღაძე (1 კომლი), დევაძე (1 კომლი), გუდაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 191-192).**

---

[9] ხაჯაველიძეების გვარიდან იყო მღვდელი პატრე (პეტრე).

[10] ძურიაშვილი და ძულიაშვილი საერთო წარმომავლობის გვარები უნდა იყოს, ვფიქრობ, მართებული ფორმაა ძულიაშვილი, რადგან გვარის ეს ფორმა სხვა აღწერებშიც დასტურდება.

[11] ამ გვარიდან იყო მღვდელი თადეოზი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემის სოფელი ბეღლითი მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 800 მეტრითაა დაშორებული, ხაშურიდან 10 კილომეტრით.

1715 წლის აღწერის დავთარში მოხსენიებულია, როგორც ბეღლითი, იმ დროისთვის იქ 26 კომლი ცხოვრობდა: ლალაშვილი (1 კომლი), ქალიაშვილი (3 კომლი), ონიაშვილი (2 კომლი), ქიტიაშვილი (1 კომლი), ილარიონიშვილი (1 კომლი), აყდიაშვილი (3 კომლი), ფაფელაშვილი (1 კომლი), მამუკაშვილი (1 კომლი), ჩიტიაშვილი (3 კომლი), ჩქოლაძე (4 კომლი), გომარელი (1 კომლი), ვეფხაძე (3 კომლი), ბუზალაძე (1 კომლი), თეგაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 192-193).**

სოფელი მონასტერი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 880 მეტრით, ხაშურიდან - 11 კილომეტრით.

რუისის საეპიკოპოსო დავთრის მიხედვით მონასტერი 6 კომლიანი სოფელი იყო: ქურდაძე (2 კომლი), გომარელი (1 კომლი), ლომინაშვილი (1 კომლი), ფოცხვერაშვილი (1 კომლი), ხარატი (1 კომლი). მონასტერშიც გვხვდება კომლის თავი - დათუნა ხარატი, რომელიც მოხსენიებულია ხელობის მიხედვით **(თაყაიშვილი, 1907: 193-194).**

ციხისძირის სახელწოდებით რამდენიმე სოფელი და ნასოფლარი გვხვდება საქართველოში[12], მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში, სადაც 1715 წლის აღწერის მიხედვით 11 კომლი ცხოვრობდა: ჩხეიძე (1 კომლი), ყიფიანი (1 კომლი), კიკნაძე (1 კომლი), ჩაჩანიძე (2 კომლი), გომარელი (1 კომლი). ზოგიერთი კომლი აღწერაში გამორჩენილია, როგორც ე. თაყაიშვილი სქოლიოში გვითითებს: „ქვემოთ დატოვებული ცარიელი ადგილები დედნისა მოწმონენ, რომ შემადგენელს საზოგადო რიცხვი სცოდნია, მაგრამ სახელები და გვარები არ მოჰგონებია“ **(თაყაიშვილი, 1907: 193-194).**

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილი მდინარე შოლის ხეობას, ქვიშხეთს, ციხისძირს, დაბა ტაშისკარს ფრონის ხეობის სოფლების რიგში არ მოიხსენიებს, რუისის დავთარში კი ამ სოფლების მოსახლეობის შესახებაც გვხვდება ცნობები.

1715 წლის აღწერის მიხედვით „სოფელ შოლისპირს“ 16 კომლი ცხოვრობდა: მდივანი დუშია (1 კომლი), ღონღაძე (1 კომლი), ტოტაძე (2 კომლი), ჭაბუკაძე (1 კომლი), ოსაძე (3 კომლი), კილაძე (1 კომლი), თეთროძე (1 კომლი), გედაძე (1 კომლი), ბეჟანაშვილი (4 კომლი), ხიზანაშვილი (1 კომლი). აღწერაში მოხსენიებული მდივანი პირის თანამდებობის მიმნიშნებელი უნდა იყოს. მას ევალებოდა საქმისწარმოება, საქმიანი მიმოწერების მოწესრიგება. მონაწილეობდა სხვადასხვა სახის აღწერებში, ეკითხებოდა საფინანსო საქმეებიც. საბუთებში გვხვდება კარის მდივანის, მეფის მდივანის, დედოფლის მდივანის სახელოები **(თაყაიშვილი, 1907: 194-195).**

სოფელ ქვიშხეთში 26 კომლია აღრიცხული: გუდაბრელი (1 კომლი), ავალიშვილი (1 კომლი), სამადაშვილი (1 კომლი), მუსტაფაშვილი (2 კომლი), მჭადაშვილი (4 კომლი), მაღლაფერიძე (3 კომლი), ჩიტაძე (3 კომლი), ლაცაბიძე (3 კომლი), ქლიბაძე (2 კომლი), მცხვედაძე (2 კომლი), ბლუაშვილი (3 კომლი), არსენაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 195-196).**

[12] ციხისძირის სახელწოდებით სოფლებს ვხვდებით დუშეთის, მცხეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

25 კომლს უცხოვრია ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემის ისტორიულ სოფელ ტაშისკარში: ბეჟიელი (1 კომლი), ჩიკვაიძე (3 კომლი), ფასიტაშვილი (2 კომლი), კანტიძე (2 კომლი), ხუმარაძე (1 კომლი), სხირტლაძე (2 კომლი), დევაძე (1 კომლი), ბითაძე (2 კომლი), მექვაბიძე (1 კომლი), ლუკაშვილი (1 კომლი), საგინაშვილი (3 კომლი), მარგველაშვილი (2 კომლი), სუთიაშვილი (2 კომლი), მეზვრიშვილი (1 კომლი), ჩიკვაიძის ყმა (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 198-199).**

18 კომლი ცხოვრობდა სოფელ სავანისხევში: მახარებლიშვილი (2 კომლი), ბადრიაშვილი (5 კომლი), ფაფელაშვილი (1 კომლი), მარგველაშვილი (5 კომლი), ქაცახაძე (3 კომლი)[13], ფცქიალაძე (2 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 196-197).**

4 კომლი ცხოვრობდა სოფელ გორათში: ნათიშვილი (2 კომლი), ღონენაშვილი (1 კომლი), ზაზუტაშვილი (1 კომლი).

აღწერას ახლავს მინაწერი: აზ(ნ)აურშვილის ცოლი ვინც აღსრულდეს. ნიშანი: გამოართვი და საწირავი **(თაყაიშვილი, 1907: 199).**

18 კომლია აღწერილი სოფელ შინდარაში[14]: ქოტიშვილი (1 კომლი), კვეხიაშვილი (1 კომლი), ბედიანაშვილი (3 კომლი), კვახიაშვილი[15] (1 კომლი), ლომინაშვილი (4 კომლი), მაზაძე (1 კომლი), კუსრაძე (1 კომლი), ბოლოკაძე (1 კომლი), ნიქოზელი (4 კომლი). სოფლის ძირითადი მაცხოვრებლები ლომინაშვილები და ნიქოზიდან მიგრირებული სოფლის ახალი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც დავთარში გვარის ან გვარების ნაცვლად, წარმომავლობის მიხედვით არიან აღწერილნი **(თაყაიშვილი, 1907: 199-200).**

15 კომლია აღრიცხული ხაშურში: ბექუტაშვილი (1 კომლი), ოღმელი (1 კომლი), გივიშვილი (2 კომლი), ქუზიაშვილი (1 კომლი), აქიმიშვილი (1 კომლი), ალექსაშვილი (1 კომლი), ინდიშვილი (2 კომლი), შოშიტაშვილი (1 კომლი), აბიაშვილი (2 კომლი), მღვდელი გიორგი[16] (1 კომლი), მისი განაყოფი ბერა (1 კომლი), მალაძე ხოსია (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 200-201).**

28 კომლია სოფელ ოსიაურში: ხელუბანიშვილი (1 კომლი), შოშიტა[17] (1 კომლი), ნოზაძე (2 კომლი), ხუცისშვილი (2 კომლი), თომაშვილი (1 კომლი), პაპაშვილი (1 კომლი), კუტიშვილი (1 კომლი), ბერუაშვილი (2 კომლი), ზაქუაშვილი (2 კომლი), დაბრუნდაშვილი (2 კომლი), ხაბელაშვილი (1 კომლი), გელაშვილი (1 კომლი), თანდილაშვილი (1 კომლი), აუშტარი (1 კომლი), საბაიკიძე (1 კომლი), ფარეში (1 კომლი), კოჩაძე (2 კომლი), მალიძე (1 კომლი), ბაქრაძე (1 კომლი), იამანიძე (2 კომლი), ჩინჩალაძე (1 კომლი), მერაბაშვილი შოშიტას ბოგანო (1 კომლი). ფარეში შინამოსამსახურე იყო, ფარეშები ჰყავდათ დედოფალს, უფლისწულებს, ფეოდალებს... აღწერაში მოხსენიებული დათუნა ფარეში რომელიმე ფეოდალის მსახური უნდა ყოფილიყო **(თაყაიშვილი, 1907: 201).**

---

[13] ამ გვარიდან იყო სასულიერო პირი - მღვდელი თევდორე.

[14] დავთარში „შინდარა“ ყოფილი ყორნისის რაიონის სოფლების რიგშიც გვხვდება, იგი მთავარჟულთან ერთადაა აღწერილი.

[15] კვეხიაშვილი და კვახიაშვილი ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს, სავარაუდოდ, სწორი ფორმაა კვახიაშვილი.

[16] მღვდელი გიორგი და მისი განაყოფი ბერა მხოლოდ საკუთარი სახელით არიან აღწერილნი.

[17] შოშიტა გვარად მერაბაშვილი უნდა ყოფილიყო, წყაროში ცალკე კომლად აღწერილია მერაბაშვილი შოშიტას ბოგანო.

11 კომლია სოფელ ზემო ჭალაში: ბლიაძე (1 კომლი), კიკაძე (1 კომლი), აიშაშვილი (1 კომლი), ქადაგიშვილი (1 კომლი), ხმალაძე (1 კომლი), ჩადუნელი (1 კომლი), კახი (1 კომლი), კვამლაძე (1 კომლი), იორდანაშვილი (1 კომლი), ხარშილაძე (1 კომლი), ფრცელი (1 კომლი). ფრცელი სადაურობის მიმანიშნებელი უნდა იყოს, როგორც ჩანს, კომლი სოფელ ფციდან გადმოსახლებულა. საკუთარი სახელი მითითებული არ არის **(თაყაიშვილი, 1907: 202).**

ზემო ჭალის მომდევნო სოფელი, რომელიც წყაროში დასახელებული არ არის (ადგილია დატოვებული) შესაძლებელია ქვემო ჭალა იყოს, სოფელში 21 კომლია აღრიცხული: პეტრიაშვილი (1 კომლი), ბეთიაშვილი (1 კომლი), ძამანაშვილი (1 კომლი), თორელაშვილი (1 კომლი), ქვრივისშვილი (1 კომლი), გოგატაშვილი (1 კომლი), ჩიტიაშვილი (1 კომლი), ყერეუცაშვილი (1 კომლი), მალიძე (1 კომლი), ნაკაშიძე (1 კომლი), ჯავახი (1 კომლი), კახი (1 კომლი), შავარდენიძე (2 კომლი), გონგლაძე (1 კომლი), წმანელი (1 კომლი), ლუქუნიძე (1 კომლი), ბლუაძე (1 კომლი), ლაკლაკი (1 კომლი), ოთია[18] (1 კომლი), ბარქოზაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 202-203).**

ნასოფლარ ლუბრუმაში, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ტილიანას მარჯვენა მხარეს მდებარეობს, რუისის დავთრის მიხედვით 12 კომლი ცხოვრობდა: ჩინჩალაძე (1 კომლი), მეხრე (1 კომლი), ბლიაძე (1 კომლი), როინა[19] (1 კომლი), ლომიძე (1 კომლი), მრაჭველი (1 კომლი), სვიმონასშვილი (1 კომლი), ქაქანაშვილი (2 კომლი), სავზიანაშვილი (1 კომლი), მასხარაშვილი (1 კომლი), მამასახლისი [20] (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 203-204).**

12-12 კომლი ცხოვრობდა ასევე სოფლებში ახალსოფელსა და სატივეში: ახალსოფელში ცხოვრობდნენ: ჩიტაშვილი (1 კომლი), ელიკაშვილი (1 კომლი), სხალაძე (1 კომლი), მამასახლისი (1 კომლი), თისლელი (1 კომლი), ყვიჟ(ი)ნაძე (1 კომლი), ქალიაშვილი (1 კომლი), ირემაძე (2 კომლი), ალავიძე (1კომლი), ოსი[21] ოთია (1 კომლი), ტოტაძე (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 204).**

სატივეში ცხოვრობდნენ: ქურციკაშვილი (1 კომლი), ნადირაშვილი (1 კომლი), ღამბაშიძე (3 კომლი), ხუციშვილი (1 კომლი), შუმბითიძე (1 კომლი), ნოზაძე (2 კომლი), დიასახლისი[22] ნადირა (1 კომლი), ბოჭორაძე (1 კომლი), ოსაძე (1 კომლი).

აღწერის მინაწერიდან ჩანს, რომ კომლების ნაწილი სოფლიდან გადასახლებულა: „აყრილი ბევრია: თუ მოვლენ ყველა მეტი უნდა მოგცენ: სახუცო და დრამა: ესე და ახალსოფელი: დრამა როგორც სხვისა სწერია: ამათი სახუცო მარჩილი. ორი:.“ **(თაყაიშვილი, 1907: 204-205).**

---

[18] მოხსენიებულია გვარის გარეშე.

[19] მოხსენიებულია მხოლოდ საკუთარი სახელით.

[20] წყაროში მეხრე და მამასახლისი გვარის ნაცვლად, საქმიანობის მიხედვით არიან მოხსენიებულნი.

[21] ოსები ფრონის ხეობაში ამ დროისთვის იშვიათად გვხვდებიან, ერთი კომლი ახალსოფელშიც დამკვიდრებულა.

[22] რთული სათქმელია, რატომაა აღწერაში კომლის თავი ნადირა დიასახლისად მითითებული, შესაძლებელია ნადირას მეუღლე ამ დროს ქვრივი ყოფილიყო და იგი ასე აღეწერათ.

10 კომლია აღწერილი სოფელ ძვისაში (აძვისში): ციმანკურიძე (1 კომლი), მჭედელი (1 კომლი), ღვინიაშვილი (4 კომლი), ხივრაძე (1 კომლი), ძაღლიბანაშვილი (1 კომლი), გუნაშვილი (1 კომლი), ლაზარეშვილი (1 კომლი) **(თაყაიშვილი, 1907: 205).**

30 კომლი ცხოვრობდა ალის ფრონის ანუ ჭერათხევის ხეობაში მდებარე სოფელ ვაყაში: ნადირაშვილი (5 კომლი), ზემბედაშვილი (1 კომლი), კბილაშვილი (1 კომლი), ზესელაშვილი (1 კომლი), მღ(ვ)დელი სეხნია (1 კომლი), ქოჩორაძე (1 კომლი), მეგრელიშვილი (1 კომლი), დალაქიშვილი (1 კომლი), საყვარელაშვილი (1 კომლი), დათუკაშვილი (2 კომლი), იმერილიშვილი (იმერლიშვილი - დ.ა.) (2 კომლი), ხუციშვილი (1 კომლი), ტატიაშვილი (1 კომლი), ბანძუაშვილი (1 კომლი), ხოტივრაშვილი (1 კომლი), ყიფიანიშვილი (1 კომლი), ბაბადიშვილი (1 კომლი), მამუკაშვილი (1 კომლი), ნაცვლიშვილი (1 კომლი), ინანაშვილი (1 კომლი), გაჩაგედაშვილი (1 კომლი), მეხრიშვილი (1 კომლი), მოურავი (1 კომლი), მღ(ვ)დელი ბახუტა (1 კომლი). კომლების წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს აღწერაში მეგრელიშვილებისა და იმერლიშვილების მოხსენიება, წინაპართა ხელობაზე - ნაცვლიშვილები, დალაქიშვილები და მეხრიშვილები, გვარის გარეშე არიან მითითებულნი სასულიერო პირები: მღვდელი სეხნია და მღვდელი ბახუტა. აღწერაში ვხვდებით მოურავ გუგულას **(თაყაიშვილი, 1907: 205-206).**

ვაყის აღწერით მთავრდება ფრონის ხეობების სოფლების მონაცემები, რაზეც აღწერის ბოლოს ე. თაყაიშვილიც მიგვანიშნებს: „აქ თავდება ჩვენი დედანი. უკანასკნელ რვეულს, როგორც მოვიხსენიეთ, აკლია ერთი ფურცელი. დედანს სხვა რვეულიც უნდა აკლდეს ჩვენის აზრით.“ **(თაყაიშვილი, 1907: 206).**

როგორც 1715 წლის საეპისკოპოსო დავთრის მიხედვით ჩანს, ფრონის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ, გვხვდება სამი კომლი, რომლებიც ოსებად არიან მითითებულნი. ხეობაში ხშირი იყო მიგრაციის შემთხვევები, კომლების აყრა და მთელ რიგ შემთხვევებში დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ქართლში დამკვიდრება.

ყიზილბაშობამ, ოსმალობამ და განსაკუთრებით ლეკიანობამ მძიმე დაღი დაასვა ქართულ სოფლებს, შედეგად XVIII საუკუნის ბოლოს არაერთი სოფელი იქცა ნასოფლარად, რაზეც ზემოთაც გავამახვილეთ ყურადღება. თუ რა სიტუაცია იყო ამ მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ამის მკაფიო ილუსტრაციად 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერა შეგვიძლია გავაანალიზოთ.

ფცის ხეობის სოფლების უმეტესობა ნასოფლარებად ყოფილა ქცეული, მათ შორის: ფლევი, ტკოცა...

დასახლებულ სოფლებს ნასოფლარები სჭარბობდა „ალის წყალზეც“: სომენეთი, ბრილი, დუმაცხო(ვი), ქინძათი, ბროლოსანი, უწლევი, ულუმბა, იგივე მონასტერი.

„სურამის წყლის“ 20 სოფლიდან მხოლოდ 6 სოფელი ყოფილა დასახლებული... სურამის წყალზედ ნასოფლარებადაა მითითებული: ახალსოფელი, კლდის წყარო, ლუბრ(უ)მა, კაკალა ხევი, ქემერტი, წაბლოვანი, ოძისი, ცედანი, შინდისი, ბიჯნისი, ჯაფნიაური, უთხვა, ჩუმათელეთი, წიფა **(იოანე ბატონიშვილი, 1986: 44).**

XIX საუკუნეში, ძირითადად, ლეკიანობის გამო აყრილ სოფლებში მოსახლეობა კვლავ დამკვიდრდა. მათ შორის გარკვეული ნაწილი დასავლეთ საქართველოდან მიგრირებული

კომლები იყვნენ, ნაწილი - ჩრდილო კავკასიიდან ქართლის ხეობებში გადმოსახლებული ოსები.

დასკვნები:

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა უძველესი დროიდან სახლობდა, რაც დასტურდება აქ აღმოჩენილი უძველესი არქეოლოგიური ძეგლებით: ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს ბალთა მხედრის ქანდაკებით, ბრინჯაოს ხანჯალი, სამწახნაგოვანი ბრინჯაოს ისრის წვერი და სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი სოფელ ტკოცის მახლობლად, გვიანდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება ალის ციხის სამხრეთით არსებული ვრცელი ნამოსახლარი და დაბა სურამის ტერიტორიაზე მიკვლეული ნივთები: ბრინჯაოს საკინძი, რგოლი, სამაჯური, საკიდი; გვიანანტიკური ხანის ჭვირული ბალთა, ვერცხლის აქემენიდური მონეტა.

ანტიკური ხანით თარიღდება ქვიშხეთის, სურამის, ალის, ვაყის, ტკოცის სამაროვნებში აღმოჩენილი საგანძური, რომლიც დღეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მამულები და მასზე დასახლებული ყმები სხვადასხვა დროს ეკუთვნოდათ: ბაგრატიონ-დავითაშვილებს, ხერხეულიძეებს, ამირეჯიბებს, გიორგი სააკაძეს და ზოგადად, სააკაძეებს, მდივან შანშეან-მარტიროზიშვილს, დიასამიძეებს, აბაზაძეებს, მახვილაძეებს, ჩხეიძეებს და სხვებს... ხშირი იყო ეკლესიისთვის ყმებისა და მამულების შეწირვის ფაქტიც, მაგალითად ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნოდა იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას.

რუისის საეპისკოპოსი დავთარის მიხედვით, სადაც ხაშურის სოფლების შესახებ პირველი ვრცელი ცნობები მოგვეპოვება, მხარის აბორიგენი მოსახლეობა ქართველები იყვნენ. ქართველების გვერდით მკვიდრობენ ებრაელები და სომხები. ამ დროისთვის ფრონის ხეობაში ჩნდება პირველი ოსური ახალშენებიც. ხეობაში ხშირი იყო მიგრაციის შემთხვევები, კომლების აყრა და მთელ რიგ შემთხვევებში დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ქართლში დამკვიდრება.

რუისის დავთარში აღნუსხული გვარების გარკვეული ნაწილი წარმოქმნილია მამიშვილობის მიხედვით: გივიაშვილი, დემეტერაშვილი, ნინიაშვილი, პაატაშვილი, ბასილიძე, ბასილაშვილი, გიორგაშვილი, ოთიაშვილი, გოჩაშვილი, რამაზიშვილი, მურადაშვილი, ბერიშვილი, ბერუაშვილი, დათაშვილი, ბიძინაშვილი, მამუკაშვილი, მახარებლიშვილი, პეტრიაშვილი, იმედაშვილი, ლიპარიტაშვილი, არსენაძე, გიგაშვილი, გელაშვილი, იოვანეშვილი, რევაზიშვილი, სვიმონაშვილი, ივანაშვილი, აბრამაშვილი, ნასყიდაშვილი, თომაძე, თომაშვილი, ბეჟანაშვილი, იორდანაშვილი, საყვარელაშვილი, დათუკაშვილი

ნაწილი მათ საერო თუ სასულიერო საქმიანობაზე მიგვითითებს: სახლთუხუცესი, მდივანი, მამასახლისი (მამასახლისიშვილი), დეკანოზიძე, ხუცისშვილი, ზეინკლიშვილი, დალაქი (დალაქიშვილი), მეზვრე (მეზვრიშვილი), მზარეულიშვილი, ჩუბინიშვილი, მკერვლიშვილი, ხარატი, კალატოზიშვილი, მჭედელი (მჭედლიშვილი), მებალე, ფარეში (ფარეშიშვილი), ნაცვალი (ნაცვლიშვილი), მოურავი, მეხრიშვილი.

გვხვდება სადაურობის აღმნიშვნელი გვარებიც: იმერელი (იმერლიშვილი), მესხი, დვალი (დვალიშვილი), ატოცელი, მრაჭველი, ზღუდრელიშვილი, თორელაშვილი,

გომარელი, ულუმბელაშვილი, გურულიშვილი, მეგრელი (მეგრელიშვილი), მთიულიშვილი, სავანელი, ნიქოზელი, თისლელი.

ცხოველებთან და ფრინველებთან ასოცირებული გვარები იყო: ჩიტიშვილი, ჩიტიაშვილი, ჩიტაძე, ლომიძე, ვეფხაძე, ფოცხვერაშვილი, ქურცაკაშვილი, ნადირაშვილი, ირემაძე

მათ გარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების დომინანტი გვარები იყო: ნოზაძე, ტაბატაძე, ადუაშვილი, ონიაშვილი, ქიტიაშვილი, ბუზალაძე, ტოტაძე, ღონღაძე, ოსაძე, კილაძე, ჭაბუკაძე, მჭადაშვილი, მაღლაფერიძე, ბლუაძე, ბლიაძე, ჩიკვაიძე, საგინაშვილი, ლომინაშვილი, ბედიანაშვილი, თოფჩიაშვილი, დაბრუნდაშვილი, ბაქრაძე, იამანიძე, შუბითიძე, ღვინიაშვილი, კვინიკაძე, ჯვარელიძე, ბრეგვაძეები, მაჭარაშვილები, გოგიბაშვილები და ა.შ.

1715 წლის საეპისკოპოსო დავთრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ყიზილბაშობის, ოსმალობისა და განსაკუთრებით ლეკიანობის შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად შეიცვალა, თუმცა ზოგიერთ სოფელში რამდენიმე აბორიგენი გვარი დღესაც მკვიდრობს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

არქეოლოგიური მასალების კატალოგი. (1955). ტომი II, თბილისი.

ბაგრატიონი, თეიმურაზი. (1983). *„ახალი ისტორია“,* ტექსტი მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბილისი.

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ბრაგვაძე, ზ. დავითაშვილი, ა. (1993). *ჩინური მონეტა მცხეთიჯვრიდან,* ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №1, თბილისი.

გაზეთი, *„დროება“.* (1881). № 248, 27 ნოემბერი.

გვასალია, ჯ. (1989). *ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები,* საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1907). *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი,* ტ. 1, ტფ., 1907.

ლაბაძე, ჯ. (2021). *ალი,* მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტომი III, თბილისი.

ლაბაძე, ჯ. (2022). *ტილიანას ხეობის სოფლების ისტორია,* მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტომი IV, თბ., 2022.

ლაცაბიძე, თ. (1991). *მასალები ხაშურის რაიონის ისტორიისათვის, ხაშურის რაიონში გავრცელებული გვარ-სახელები,* ხაშური.

ლაცაბიძე, თ. (2019 ა). *ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში,* გაზეთი „ხაშურის მოამბე“, № 7 (208).

ლაცაბიძე, თ. (2019 ბ). *ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში,* გაზეთი „ხაშურის მოამბე“, № 11 (212).

ლაცაბიძე, თ. (2019 გ). ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში, გაზეთი „ხაშურის მოამბე“, № 29 (230).

ლაცაბიძე, თ. (2019 დ). *ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში,* გაზეთი „ხაშურის მოამბე“, № 32 (233).

ლაცაბიძე თ. (2021 ა). *მასალები ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ისტორიისათვის, 1886 წლის საოჯახო სიები,* წიგნი IV, ხაშური.

ლაცაბიძე, თ. (2021. ბ) იტრიის ისტორიისათვის, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტომი III, თბილისი.

ლომოური, თ (2005). *საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV საუკუნეში (ალის განძის ჯუჩიდური მონეტები),* კრებულში „ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში“, თბილისი.

მაკალათია, ს. (1968). *ფრონის ხეობა,* თბილისი.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგები. (2014). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნოემბერი.

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1673. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1673.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1678. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1678.*

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1973). ტომი IV, თბილისი.

სულხან-საბა ორბელიანი. (1991). *ლექსიკონი ქართული,* ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტომი I, თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბილისი.

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. (2013). თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1965). *საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტ., II,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1972). სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქიტიაშვილი, ჯ. (1991). *კამერალური აღწერები XIX საუკუნის საქართველოში - საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი წყარო,* გაზეთი „ალიონი“ 15 აგვისტო.

ქიტიაშვილი, ჯ. (2007). *ტოპონიმ „ალის“ განმარტებისათვის,* ჟურნალი „იყავი აქტიური მოქალაქე“, № 5.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი III, ტფილისი.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. (1975). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაუთმო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი.

ხაჩიძე, დ. (2019). *მეორე (1816-1818) კამერალური აღწერა,* გაზეთი „ხაშურის მოამბე", № 18, 6 მაისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (2011). *ქალაქები, საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში, 1910-1920-იანი წლების ჟურნალები,* თბილისი, ლიტერატურის მუზეუმი.

REFERENCES

archeologiuri masalebis katalogi [catalog of archaeological materials]. (1955). tomi II [volume II], tbilisi.

bagrationi, teimurazi. (1983). *„akhali istoria" [„new history"],* t'ekst'i moamzada l. mikiashvilma [texst prepared by l. mikiashvili], tbilisi.

bagrationi, ioane. (1986). *kartl-kaxetis aghtsera [the description of kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [the text was prepared for publication, research and references were added by tina enukidze and guram bedoshvili]. tbilisi: "metsniereba".

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [description of the kingdom of georgia].* kartlis tskhovreba [georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [the text is established according to all major manuscripts by S. kaukhchishvili]. tbilisi: metsniereba.

bragvadze, z. davitashvili, a. (1993). *chinuri monet'a mtskhetijvridan [chinese cion from mtskhetijvari],* zhurnali „dzeglis megobari" [friend of the monument magazine], №1, tbilisi.

gazeti *droeba* [newspaper *droeba*]. (1881). № 248, 27 noemberi.

gvasalia, j. (1989). *pronis kheobata ist'oriuli geograpiis sak'itkhebi [issues of the historical geography of the fron valleys],* sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [collection of historikal geography of georgia], VII, tbilisi.

takaishvili, e. (1907). *archeologiuri mogzaurobani da shenishvnani [archaeological travels and notes],* tomi 1 [vol. 1]. tbilisi.

makalatia, s. (1963). *pronis kheoba,[fron valley].* tbilisi.

mosakhleobis 2014 ts'lis aghts'eris shedegebi [results of the 2014 population census] (2014). sakartvelos st'at'ist'ik'is erovnuli samsakhuri [national statistical service of georgia], noemberi.

sakartvelos ist'oriis nark'vevebi [essays on the history of Georgia]. (1973), tbilisi.

seasca, f. 254, ins. 3, case 1673. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 1673 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 1673].*

seasca, f. 254, ins. 3, case 1678. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 1678 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 1678].*

sulkhan-saba orbeliani. *(1991). leksikoni kartuli [georgian dictionary],* avtobiografiuli nuskhebis mikhedvit moamzada, gamokvleva da ganmartebata leksikis sadziebeli daurto ilia abuladzem [prepared according to autograph manuscripts, withresearch and dictionary index by ilia abuladze], vol. I, tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1965). *saerto sakanonmdeblo dzeglebi [general legislative monuments] (X-XIX), II,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and search results to the texts]. tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1970). *Saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i.dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1972). *sasamartlo ganchinebani [court rulings] (XVI-XVIII), IV,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. tbilisi.

kartlis tskhovrebis t'op'oarkeologiuri leksik'oni [topoarchaeological dictionary of kartli life]. (2013). tbilisi.

kitiashvili, j. (2007). *toponim „alis" ganmartebistvis [for the exsplanation of the toponym „ali"],* jurnali „iyavi aqtiuri mokalake" [be an active citizen magazine], № 5, 2007.

kitiashvili, j. (1991). *kameraluri aghtserebi XIX saukunis sakartveloshi – sakartvelos istoriis didmnishvnelovani tskaro [chamber rekords in 19th century Georgia – an important source of Georgian history]* gazeti „alioni" [newspaper „aluioni"], 15 agvisto, 1991.

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa [chronicles and other materials on georgian history and writing]. (1897). shek'rebili, kronologiurad tats'q'obili da akhsnili t. jhordanias mier [collected, chronologically arranged and explained by t. jordania], tts'igni III [book III], tblilisi.

labadze, j. (2021). *ali [ali],* masalebi sakartvelos soplebis ist'oriisatvis [materials for the history of georgian villages], vol. III, tbilisi.

labadze, j. (2022). *t'ilianas kheobis soplebis ist'oria [history of the villages of the tiliana valley],* masalebi sakartvelos soplebis ist'oriisatvis [materials for the history of georgian villages], tomi IV [vol. IV], tbilisi.

latsabidze, t. (1991). *masalebi khashuris raionis is'toriisatvis [materials for the history of thr khashuri district], khashuris raionshi gavrtselebuli gvar-sakhelebi [surnames common in the khashuri district],* khashuri.

latsabidze, t. (2019 a). *khashuris munitsipalitetis istoria toponimebshi [history of khashuri municipality in toponums],* gazeti „khashueis moambe“ [khashuri moambe newspaper], № 7 (208).

latsabidze, t. (2019 b). *khashuris munitsipalitetis istoria toponimebshi [history of khashuri municipality in toponums],* gazeti „khashueis moambe“ [khashuri moambe newspaper], № 11 (212).

latsabidze, t. (2019 g). *khashuris munitsipalitetis istoria toponimebshi [history of khashuri municipality in toponums],* gazeti „khashueis moambe“ [khashuri moambe newspaper], № 29 (230).

latsabidze, t. (2019 d). *khashuris munitsipalitetis istoria toponimebshi [history of khashuri municipality in toponums],* gazeti „khashueis moambe“ [khashuri moambe newspaper], № 32 (233).

latsabidze, t. (2021 a). *masalebi khashuris munitsip'alit'et'is mosakhleobis is'toriisatvis [materials for the population history of khashuri municipality], 1886 ts'lis saojakho siebi [family lists from 1886],* ts'igni IV [book IV], khashuri.

latsabidze, t. (2021 b). *it'riis ist'oriisatvis [for the history of ytria],* masalebi sakartvelos soplebis ist'oriisatvis [materials for the history of georgian villages], tomi III [vol. III], tbilisi.

lomouri, t. (2005). *sakartvelosa da okros urdos shoris urtiertobis sak'itkhisatvis XIV sauk'uneshi (alis gandzis juchiduri monete'bi) [on the issue of relations between geoegia and the golden horde in the 14th century (juchid coins from the ali treasure)],* k'rebulshi: „pulis mimoktsevis ist'oriisatvis shua sauk'uneebis sakartveloshi“ [in the collection for the history of money circulacion in medieval georgia], tbilisi.

live of kartli. (1959). teqsti dadgenili yvela dziritadi khelnatseris mikhedvit simon kaukhchishvilis mier [text established according to all the main manuscripts by kaukhchishvili], vol. II. tbilisi.

jhan shardenis mogzauroba sp'arsetsa da aghmosavletis skhva kveq'nebshi [jean chardin's travels in persia and other eastern countries] (1975). prangulidan targmna, gamok'vleva da k'oment'arebi dautmo m. mgaloblishvilma [translated from french, researched and commented by m. mgaloblishvili], tbilisi.

khachidze, d. (2019). *meore (1816-1818) kameraluri aghtsera [second (1816-1818) cameral census],* gazeti khashiris moambe [khashuri moambe neswspaper], № 18, 6 maisi.

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], (XIII-XIX), II.* Tbilisi: Metsniereba.

javakhishvili, iv. (2011). *kalakebi, sakalako ts'es-ts'q'obileba da tskhovrebis vitareba sakartveloshi XVII-XVIII sauk'uneebshi, 1910-1920-iani tslebis jurnalebi [cities, urban order and living conditions in georgia in the 17th-18th centuries, magazines from the 1910s-1920s],* tbilisi, literature museum.